

ISSN 1987-6890

ՁՅԳԵԳՁՈՆԵՐՈ

EKONOMISTI

*Երևանում տպահանձնվող Եվրոպական-ամերիկյան գիտնական*

*International Scientific - Analytical Journal*

5

2 0 0 9

UDC33

ე-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ნომერი 5 2009  
დეკემბერი

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-პროფესორებთან:  
ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიტავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავილი, რობერტ ასათიანი, კლიმენტი ანელავილი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერუაშვილი, ვახტანგ ბურღული, მიხეილ თოქმაჯიანი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატავილი, იაკობ მუსხიანი, ელგუჯა მემვაბიშვილი, ბიორბი პაპავა, უშანბი სამაღაშვილი, როლანდ სარქიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჯიბუტი.

აკადემიური დოქტორები:

ნანული აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ლია თოთლაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაშვილი, ნოდარ ხაღურდი, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რამაზ ჯაგა-ნიშვილი.

უცხოელი წევრები:

ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურტანიძე (აშშ), ანტანას მატსტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკატლიშვილი (აშშ), სლავომირ პატრიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი ჰერმანი (პოლონეთი).

---

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

---

Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMIST

# I

International Scientific-analytical Journal  
Published from January 2009

November  
December

# 5

2009

**Editor-in-chief**

**Ramaz Abesadze**

**SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD**

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava, Vladimir Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

**Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Mikhail Jibuti, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mkvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.**

ACADEMIC DOCTORS:

**Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).**

FOREIGN MEMBERS:

**Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA), Antanas Mackstius (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patricki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)**

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

**Tbilisi**

ს ა რ ჩ ე მ ბ ი

ინტერვიუ	5
<b>პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა</b>	
<i>რამაზ აბესაძე</i> – უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში	10
<i>Теимураз Беридзе</i> – Политико-экономические размышления об августовском (2008г.) конфликте в Грузии	21
<i>Вахтанг Бурдули</i> – Вопросы структурной перестройки экономики Грузии и роста уровня занятости	29
<b>ეკონომიკური თეორია</b>	
<i>Ната Давлашеридзе</i> – Нобелевский лауреат по экономике Милтон Фридмен, его взгляды на проблему безработицы и пути ее преодоления	39
<i>Анзор Кураташвили</i> – Защита прав человека и социально ориентированная рыночная экономика – проявление цивилизованности рыночных отношений	42
<b>აბრარული წარმოება</b>	
<i>ზურაბ რევიშვილი</i> – აგრარული წესრიგის პოლიტიკის აქტუალური საკითხები	46
<b>ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები</b>	
<i>როლანდ სარჩიშელია, ნანული არევაძე</i> – მოსახლეობის ძლიერი საშუალო ფენის ფორმირების სთვის საქართველოში	53
<b>ინვესტიციები</b>	
<i>ლინა დათუნაშვილი</i> – უცხოური ინვესტიციები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში	58
<b>ფისკალური პოლიტიკა</b>	
<i>თინათინ ქურდაძე</i> – ბიუჯეტის საგადასახდო და არასაგადასახდო შემოსავლების ოპტიმიზაცია საქართველოში	63
<b>სამართაშორისო ურთიერთობები</b>	
<i>რევაზ ლორთქიფანიძე</i> – განვითარებული ქვეყნების გავლენა მსოფლიო ბაზარზე	69
<b>საბაზრო ინფრასტრუქტურა</b>	
<i>გიგა მაისურაძე</i> – ბირჟა – სტაბილური ეკონომიკის არსებობის გარანტი	74
მნიშვნელოვანი მონობრაჟიები	78
ინფორმაცია	84

**CONTENTS**

<b>INTERVIEW</b>	<b>5</b>
<b>ECONOMY OF POSTCOMMUNIST GEORGIA</b>	
<i>Ramaz Abesadze</i> – Unemployment and its Causes in Georgia	<b>10</b>
<i>Teimuraz Beridze</i> – The Political Economy of the August (2008) Conflict in Georgia	<b>21</b>
<i>Vakhtang Burduli</i> – The Questions of Structural Reorganization of Georgia's Economy and Increase of Employment Level	<b>29</b>
<b>ECONOMIC THEORY</b>	
<i>Nata davlasheridze</i> – Nobel Prize Winner in Economics Milton Friedman, his Opinion About the Unemployment Problem and the Ways of its Overoming	<b>39</b>
<i>Anzor Kuratashvili</i> – Protection of Human Rights and Socially Oriented Market Economy – Display of Civilization of Relations	<b>42</b>
<b>AGRARIAN PRODUCTION</b>	
<i>Zurab Revishvili</i> – Live Issues of Agricultural Order Policy	<b>46</b>
<b>ECONOMIC-SOCIAL PROBLEMS</b>	
<i>Roland Sarchimelia, Nanuli Arevadze</i> – Formation of Strong Middle Class of Population in Georgia	<b>53</b>
<b>INVESTMENTS</b>	
<i>Lina Datunashvili</i> – Foreign Investments in Georgia under Globalization	<b>58</b>
<b>FISCAL POLICY</b>	
<i>Tinatin Kurdadze</i> – The Necessity of Optimization of Tax and Nontax Income of the Budget	<b>63</b>
<b>INTERNATIONAL RELATIONS</b>	
<i>Revaz Lordkipanidze</i> – The Influence of Developed Countries on World Market	<b>69</b>
<b>MARKET INFRASTRUCTURE</b>	
<i>Giga Maisuradze</i> – The Stock Exchange – Guarantee of Economical Stability	<b>74</b>
<b>SIGNIFICANT MONOGRAPHS</b>	<b>78</b>
<b>INFORMATION</b>	<b>84</b>

## ინტერვიუ

მაღლე შემოაბიჯებს ახალი 2010 წელი, ამასთან დაკავშირებით, ჟურნალის რედაქციამ კითხვით მიმართა ჩვენი ქვეყნის ცნობილ მეცნიერებს, თუ რას უსურვებენ ისინი ჟურნალ “ეკონომისტს” მომავალ ახალ წელს და თუ როგორია მათი პროგნოზები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა 2010 წლისთვის.

### *ლეო ჩიქავა*

*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე*

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების უზრუნველყოფაში, ცხადია, თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია ჟურნალ “ეკონომისტის” შემოქმედებით საქმიანობასაც. ვუსურვებ მას ამ ფრიად საპატიო, მაგრამ, ამავე დროს, უაღრესად საპასუხისმგებლო მისიის პირნათლად შესრულებას. ამისათვის აუცილებელია მან ეკონომისტთა მაღალ კვალიფიციური კადრები შემოიკრიბოს თავის გარშემო იმ აქტუალური ეკონომიკური პრობლემების ღრმა მეცნიერულ დონეზე დასამუშავებლად, რომლებიც დღეისათვის დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე და შესაბამის ზემდგომ ორგანოებს შესთავაზოს მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები და რეკომენდაციები პრაქტიკაში განსახორციელებლად. ამ ორგანოებსაც ვუსურვებდი იმას, რომ ჰქონდეთ მოთხოვნა ასეთ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე, რამეთუ მიზან-ამოცანების მხოლოდ ასეთ ერთიანობას ძალუძს ქვეყნისათვის მაქსიმალური სარგებლობის მოტანა.

ჩემი პროგნოზული გათვლებით, 2010 წელს ვერ მოხერხდება ეკონომიკური კრიზისის სრულად დაძლევა საქართველოში, მაგრამ, კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, შესაძლებელია მისი დამანგრეველი ძალის რამდენადმე შენელება. ასეთი ერთგვარი ოპტიმიზმის საფუძველს, რიგ სხვა მნიშვნელოვან გარემოებასთან ერთად, ოთხნახევარ მილიარდ დოლარიანი საერთაშორისო ფინანსური დახმარების ეკვივალენტით სახსრების მიმდინარე წელსაც (2009 წლის ანალოგიურად) შეუფერხებლად შემოსვლის გაგრძელება იძლევა.

ამ ვარაუდის რეალობად გადაქცევას ხელისუფლების ორგანოების დიდი ძალისხმევა დასჭირდება. მხედველობაში მაქვს, წარსულის მწარე გაკვეთილების ღრმა მეცნიერულად გაანალიზების საფუძველზე, ყოველმხრივ გააზრებული სამოქმედო პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია და ინვესტიციების უპირატესად მეწარმეობის განვითარებისათვის გამოყენება.

### *ვლადიმერ პაპავა*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

2010 წელს ჟურნალ “ეკონომისტს” ვუსურვებ ასარჩევად ჰქონდეს ბევრი კარგი სტატიიდან საუკეთესო, რომ მკითხველი უფრო მეტად დაინტერესდეს.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში რაიმე, პრინციპულად ახალი, მოსალოდნელი არ უნდა იყოს. გაგრძელება ეკონომიკური კრიზისი და უცხო-

ური ფინანსური დახმარების მიღება. არც ეკონომიკურ პოლიტიკაშია მოსალოდნელი პრინციპული ცვლილებები. შედარებით გაიზარდა პოპულისტური კომპონენტი, რადგანაც 2010 წელს ხელისუფლებას დასჭირდება ყველა რესურსის გამოყენება ადგილობრივი არჩევნების მოსაგებად.

**ავთანდილ სილაგაძე**  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*  
*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული*  
*აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

პირველი ნაბიჯები არის საქმიანი და წარმატებული. ჟურნალ “ეკონომისტი“-ს რედაქციას 2010 წელს მინდა ვუსურვო საქმიანობის გაძლიერება ამ მიმართულებით.

2010 წელს, სამწუხაროდ, ეკონომიკური პროგნოზი არ იქნება ოპტიმისტური, გავრძელდება ვარდნა ეკონომიკაში. განსაკუთრებით ეს ეკონომიკის რეალურ სექტორს შეეხება, რაც გამოიწვევს ეკონომიკური სიტუაციის კიდევ უფრო გაართულებას. ამას ემატება ისიც, რომ 2010 წელი არის საარჩევნო წელი, რომელიც კიდევ უფრო დაძაბავს მდგომარეობას. ასე რომ, 2010 წელს სირთულეები გველის.

**როზუტა ასათიანი**  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქციას დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით ვულოცავ ახალ, 2010 წელს. ჟურნალის მთავარ რედაქტორს პროფ. რამაზ აბესაძესა და სარედაქციო კოლეგიას ვუსურვებ ხანგრძლივ შემოქმედებით საქმიანობას. იმედს ვიტოვებ, ეს ახლად დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი გამორჩეულ წვლილს შეიტანს ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და აზროვნების განვითარებაში.

ყოველი ახალი საქმის დასაწყისი სირთულეებთანაა დაკავშირებული. „ეკონომისტი“, რომელიც ჯერ მხოლოდ 1 წლისაა, მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც განაპირობებს. მაგრამ, ვფიქრობთ, თუ სათანადო პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ამ საპატიო საქმეს, ერთსულლოვნებით, ურთიერთმოსმენითა და ურთიერთგაგებით ძალიან ბევრს შევძლებთ და, დვითის მადლით, ჟურნალი „ეკონომისტი“ საპატიო ადგილს დაიკავებს ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

რაც შეეხება 2010 წლის საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგნოზს, რა თქმა უნდა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ეგზოგენური თუ ენდოგენური ფაქტორების გათვალისწინებით, იგი ოპტიმისტური ვერ იქნება. ამის მრავალი ობიექტური მიზეზი არსებობს. დავიწყეთ იმით, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს ჯერჯერობით სასიკეთო პირი არ უჩანს და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროგნოზიც რამდენადმე პესიმისტურია. ასეთ რთულ ვითარებაში გლობალური პრობლემების წნეხქვეშ რომელიმე ქვეყანამ ნაწილობრივ მაინც დაძლიოს შიგა ეკონომიკური პრობლემები, მითუმეტეს საქართველომ, შეუძლებელია.

რატომ მითუმეტეს საქართველომ? იმიტომ, რომ პირველი, საქართველომ ეკონომიკის რეფორმირების 18-წლიან პერიოდში ვერ შეძლო მიეღწია მშპ-ის წარმოების 1990 წლის დონისათვის. მსოფლიო ბანკის და სსფ-ის ექსპერტული შეფასებით იგი მხოლოდ 71,1%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს ბარიერი დაძლიეს აზერბაიჯანმა (192,8%), სომხეთმა (171,6%), რუსეთმა (112,3%) და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა; მეორე, დღეისათვის საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 3 ათასი ლარის მშპ, რაც საშუალო მსოფლიო დონის 35%-ს შეადგენს. ეს მეტი რომ არა ვთქვათ, დამაფიქრებელია; მესამე, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის 70%-ზე მეტი იმპორტული პროდუქციითაა გაჯერებული. აქედან გამომდინარე, საქართველო უფრო მომხმარებელი ქვეყანაა, ვიდრე მწარმოებელი და ამით სხვა ქვეყნების სამუშაო ძალას ასაქმებს, საკუთარს კი ან იძულებულს ხდის საზღვარგარეთ წავიდეს სამუშაოდ, ან კიდევ, უმუშევრობისა და სიღარიბისთვის ჰყავს განწირული. ამიტომაცაა, რომ საქართველომ თავი ვერ დაადგინა უარყოფით საგადასახდელო ბალანსს და ამჟამად იმპორტის ექსპორტით დაფარვა მხოლოდ 23,7%-ს შეადგენს.

საქართველოს მწვავე ეკონომიკურ პრობლემებზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ამ სახეიმო დღეებში არ მსურს განწყობა გაეუფუჭო მკითხველს, ამიტომ მინდა ჩემი ინტერვიუ დავასრულო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებით: „საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა, იგი ტახტია წმიდისა სამებისა“, რაც დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდ იმედს გვისახავს. მთავარია ქართველებს გვიყვარდეს ერთმანეთი, დედასამშობლო და ყველაფერი გამოსწორდება.

სოკრატეს უთქვამს: „ყოველ ადამიანში არის მზე, ოღონდ მიეციოთ საშუალება, ანათოსო“. ამის საშუალება უნდა მიეცეს საქართველოს ყველა მოქალაქეს, მის ყველა კუთხესა და რეგიონს. ასე შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის აშენებასა და, მერწმუნეთ, საქართველო აყვავდება.

*მიხეილ თოქმაზიშვილი*  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქ. “ეკონომისტს” ვუსურვებდი “გამრავლებას” და მრავალი ახალი მკითხველის შექმნას, ჟურნალის თანამშრომლებს – საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას, ხოლო ჟურნალის მკითხველებს კი – ბედნიერ ახალ წელს.

მომავალ წელს, ჩვენი აზრით, გაგრძელდება ეკონომიკის ინერციული მდგომარეობა და გაჭიანურდება გამოცოცხლების ფაზაში გადასვლა, ეკონომიკური ზრდის ტემპები დაბალი იქნება, ინფლაცია – ზომიერი, ინვესტიციების დაბანდება და საბანკო საქმიანობა კვლავ მაღალ რისკებთან იქნება დაკავშირებული, ხოლო სამშენებლო სექტორში კი, უძრავი ქონების გაჭიანურებული რეალიზაციის შედეგად, კვლავ გაგრძელდება კრიზისული ვითარება.



*ელგუჯა მექვაბიშვილი*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ჟურნალ “ეკონომისტს” ახალ წელს ვუსურვებ ბევრი მაღალი დონის სტატიას, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.

ვფიქრობ, რომ მომავალი წელი მსოფლიო ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის დაწყების ეტაპი იქნება. საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურის გაუმჯობესება დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. შესაბამისად, მოველი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულ გაუმჯობესებას.

*იაშა მესხია*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ჟურნალ “ეკონომისტის” აღორძინება გულწრფელად მიხარია და დარწმუნებული ვარ, რომ იგი ღირსეულად გააგრძელებს იმ ეროვნულ ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა დიდმა მასწავლებლებმა და ცნობილმა ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტებმა. ჟურნალს ვუსურვებდი მომავალ 2010 წელს უფრო მეტ გამბედაობას და სიღრმისეულობას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ანალიზსა და შეფასებაში, ჟურნალის დაგეგმვაში მიზნობრივ-თემატური მიდგომის დანერგვასა და იმ პრიორიტეტებზე ორიენტაციას, რომელთა ირგვლივ გამართული მეცნიერული დისკუსიები ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიმართულებით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ჟურნალი უნდა გახდეს არა მხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა მონიტორი და შემფასებელი, არამედ მან უნდა უზრუნველყოს ხელისუფლება მეცნიერულად არგუმენტირებული პროგნოზებით, თეორიული და გამოყენებითი ხასიათის მიგნებებით, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და კრიზისის დაძლევას. ჟურნალს გააჩნია საკმარისი პოტენციალი, რომ გახდეს ხელისუფლების მეცნიერ-კონსულტანტი და ღირსეული პარტნიორი.

რაც შეეხება ეკონომიკურ პროგნოზებს 2010 წლისათვის, იგი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უკეთესი იქნება წინა წელთან შედარებით, რის გარანტიას იძლევა ის დიდძალი უცხოური დახმარებები და სესხები, რომელთა ნაწილის მიღება დაგეგმილია ამ წელს. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ კვლავაც მოსალოდნელია ჩავარდნები, რამეთუ 2010 წელს არ არის მოსალოდნელი პოლიტიკური ხასიათის პოზიტიური გარღვევა და საზოგადოების გამთლიანება, რაც ეკონომიკის ერთ-ერთ დამამუხრუჭებელ ფაქტორს წარმოადგენს. არსებითი ხასიათის ძვრები არ არის მოსალოდნელი დასაქმების დონის ამაღლების მხრივ. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება, რასაც განაპირობებს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებთან დაკავშირებით სოციალურ პროგრამებზე საბიუჯეტო ხარჯების ზრდა.

**ნოდარ ხადური**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ სრული პროფესორი*

აღდგენილი ჟურნალი “ეკონომისტი” 2010 წელს ერთი წლის გახდება. ვულოცავ მას პირველ ახალ წელს, ვუსურვებ ქართული სამეცნიერო (და არა მხოლოდ ეკონომიკური) პერიოდული გამოცემების ფლაგმანი გამხდარიყოს და ღირსეული ადგილი დაიკავებინოს მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ჟურნალებს შორის. ამასთან, მის რედაქციას, ავტორებს და მკითხველებს ვუსურვებ წარმატებულ წელს, ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებასა და აყვავებულ საქართველოში ცხოვრებას.

რაც შეეხება 2010 წელს, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჯერ ვერ მოხერხდება ეკონომიკური კრიზისის შედეგებისაგან თავის სრულად დაღწევა. 2010 წელს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების, საგარეო და საშინაო საფრთხეების განეიტრალების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ეკონომიკის დაცემის საბოლოოდ შეჩერება. ცხადია, კვლავ მაღალი დარჩება უმუშევრობის დონე, ვერ მოხერხდება ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ზრდა. წლის განმავლობაში მთავრობა, 2009 წლის მსგავსად, ბიუჯეტის შემცირების აუცილებლობის წინაშე დადგება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2010 წლის გაზაფხულის მიწურულს ქვეყანას ადგილობრივი არჩევნები ელის, არ არის გამორიცხული, გაზაფხულზე ხელისუფლებამ სოციალური ხარჯები გაზარდოს. ზოგადად, პოპულისტური ქმედებებით შესაძლოა, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პროცესი შეფერხდეს.

**მიხეილ ჯიბუტი**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

2009 წელს ეკონომიკის განვითარების დონე საქართველოში დაეცა წინასწარი მონაცემებით 4%-ით. მან გადაფარა ეკონომიკის დონის 2%-იანი ზრდა 2008 წელს და ქვეყნის ეკონომიკური დონე 2007 წლის მაჩვენებლებს დაუბრუნდა. ამდენად ასტრონომიული 2010 წელი კი დადგა საქართველოში, მაგრამ განვითარების ეკონომიკურ კალენდარზე ქვეყნისათვის 2007 წელია. 2010 წელს ქვეყნისათვის უზოგადესი ეკონომიკური ამოცანაა მიაღწიოს 2008 წლის ეკონომიკურ დონეს. ეს ურთულესი ამოცანაა, არსებულ გარემოში უფრო შეუსრულებადი (მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობის პროგრამაში “ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 201-2013 წლებისათვის” ამ ამოცანის მისაღწევად არასაკმარისი – ეკონომიკის 3%-იანი ზრდაა მიზნად დასახული), თუმცა, სასურველი და მეც ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მის მიღწევას და ჟურნალ “ეკონომისტს” კი ამ საქმეში ქვეყნისათვის ქმედით ინტელექტუალურ დამხმარებლად გადაქცევას.

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა

რამაზ აბესაძე  
ემდ, პროფ.

უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. იგი საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ბუნებრივია, ამ პროცესებს თან სდევდა უმუშევრობის ძლიერ მაღალი დონე.

ბევრმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შეძლო გადაელახა სიძნელები, აეშენებინა მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა. თითქმის ბუნებრივადვე შეემცირებინა უმუშევრობის დონე. ზოგმა კი, რომელთა შორისაა საქართველო, რეფორმების განხორციელების დროს დაშვებული შეცდომებისა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო. ამიტომ ამ ქვეყნებში გვაქვს უმუშევრობის მაღალი დონე, ამასთან, უმუშევრობის სახეობებმაც ტრანსფორმაცია განიცადა. თუ თავდაპირველად სამუშაო ადგილები იყო და საჭირო იყო მხოლოდ მათი ათვისება, ამჟამად ამ სამუშაო ადგილთა დიდი ნაწილი ფაქტობრივად განადგურებულია და უმუშევართა დასაქმებლად საჭიროა ახალი ადგილების ათვისება, რომელთაგან უმეტესი პროფესიის შეცვლას ან კვალიფიკაციის ამადლებას მოითხოვს. გაჩნდა უმუშევართა ახალი ფორმაც – უმუშევარი ასაკის გამო, ანუ უმუშევარი, რომელსაც სურვილი აქვს იმუშაოს, აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, მაგრამ სამუშაოს ვერ პოულობს, ვინაიდან შედარებით დიდი ასაკისაა, თუმცა არა საპენსიო ასაკის. მაშასადამე, ამჟამად საქმე გვაქვს უმუშევართა ახალ სახეობებთან – **ტრანსფორმაციულ, სტრუქტურულ, ფრიქციულ, ციკლურ და ასაკობრივ უმუშევრობასთან.**

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემები უმუშევრობასთან დაკავშირებით საქართველოში, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხშირად დამახინჯებულია, მათი ანალიზი მაინც საინტერესოა.

1-ლი ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობას კლების ტენდენცია აქვს. დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება მაშინაც, როდესაც ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალია.

ამას განაპირობებს ის, რომ ჩვენთან ეკონომიკური ზრდის ტემპები ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს. იმისათვის, რომ დასაქმების დონე გაიზარდოს, ანუ უმუშევრობის დონე შემცირდეს, საჭიროა ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს (წინააღმდეგ შემთხვევაში სტრუქტურული უმუშევრობის დონე გაიზარდება). მაშასადამე, ეკონომიკური ზრდა საქართველოში უმთავრესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე მიმდინარეობს.

1990 წლიდან (როდესაც უმუშევრობა საერთოდ არ იყო, თუმცა ფარული უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალი იყო) 2008 წლამდე, დასაქმებულთა რაოდენობა ნახევრდება (მაგრამ არა აქტიური უმუშევრების ხარჯზე, არამედ, ალბათ, პასიური უმუშევრების ხარჯზე და, უფრო მეტად, მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე). ამასთან, ნიშანდობლივია, რომ დაქირავებულთა რაოდენობა იკლებს (თითქმის 4-ჯერ), ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი იზრდება (4-ჯერ და მეტად). საერთოდ, თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე დაქირავებულებისა (1,8-ჯერ), რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების დაბალ დონესა და დეფორმირებულობაზე.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საქართველოში<sup>1</sup>  
(ათასი კაცი)

	1990	1995	2000	2003	2005	2008
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – სულ	2763,3	1780,9	1858,0	2050,4	2023,9	1917,8
დასაქმებულები	2763,3	1730,1	1748,8	1814,5	1744,6	1601,9
დაქირავებულები	2502,6	802,1	684,5	618,5	600,5	572,6
თვითდასაქმებულები	260,7	928,0	1064,3	1195,2	1143,3	1028,5
უმუშევრები	127,2	118,2	235,6	235,9	279,3	315,8
<b>პროცენტობით</b>						
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – სულ	100	100	100	100	100	100
დასაქმებულები	100	97,1	94,5	88,5	86,2	83,5
დაქირავებულები	90,6	45,0	37,0	30,2	29,7	29,8
თვითდასაქმებულები	9,4	52,1	57,5	58,3	56,5	53,6
უმუშევრობის დონე	–	2,9	5,5	11,5	13,8	16,5

ოფიციალური მონაცემების მიხედვით უმუშევრობის დონე 1992-2003 წლებში ძალიან დაბალია, რაც ოდნავადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ წლებში არათუ დიდი იყო უმუშევრობის დონე, არამედ დღეს არსებული უმუშევრობაც, მაშინ არსებული ტოტალური უმუშევრობის შედეგია. ასეთი მაჩვენებლების არსებობა გამოწვეულია ფაქტობრივი მონაცემების დამახინჯებით და ფარული უმუშევრობის არსებობით (საწარმოები არსებობდა, მაგრამ არ მუშაობდა და ხელფასებს არ გაცემდა, იქ დასაქმებულები კი უმუშევრებად არ ითვლებოდნენ). უმუშევრობის დონე 2008 წელს ოფიციალურად 16,5%-ია. ექსპერტთა აზრით უმუშევრობის რეალური დონე საქართველოში გაცილებით მეტია (30%-ზე მეტი). შესაძლებელია ეს ციფრი ცოტა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, დასაქმების სამსახურის ფაქტობრივად არარსებობის გამო, უმუშევართა რაოდენობა შემცირებულია და ასევე ფარულ უმუშევრობას აქვს ადგილი, შესაძლებელია, უმუშევრობა საქართველოში მართლაც ოფიციალურ მაჩვენებელზე საგრძობლად მეტი იყოს.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით დასაქმებულების განაწილება გვიჩვენებს (ცხრილი 2), რომ ჩვენთან საკმაოდ მასშტაბური პრივატიზების პროცესი განხორციელდა. თანაფარდობა, კერძო სექტორის განვითარების კვალობაზე, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის მისაღებია.

<sup>1</sup> ცხრილები გაანგარიშებულია სტატისტიკური კრებულის “საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2008” და “საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009” მიხედვით.

**დასაქმებულების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით**  
(ათასი კაცი)

	1990	1995	2000	2005	2006
დასაქმებულია ეკონომიკაში სულ	2763	1730	1839	1745	1747
სახელმწიფო სექტორში	2087	734	476	401	360,3
არასახელმწიფო სექტორში	676	996	1363	1344	1387
<b>პროცენტებით</b>					
დასაქმებულია ეკონომიკაში	100	100	100	100	100
სახელმწიფო სექტორში	75,5	42,4	25,9	23,0	20,6
არასახელმწიფო სექტორში	24,5	57,6	74,1	77,0	79,4

საინტერესოა უმუშევართა განათლების დონის მიხედვით განაწილების სურათი (ცხრილი 3), რომელიც გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში უმუშევართა აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი შედგება სრული საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირებისაგან. ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ უფრო მაღალი კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაო ადგილებზეა მეტი მოთხოვნა.

**უმუშევრების განაწილება განათლების დონის მიხედვით**  
(საშუალო წლიური; ათასი კაცი)

	2000	2003	2005	2006
უმუშევარი – სულ	100,6	42,9	34,3	32,3
არასრული საშუალო განათლებით	26,8	0,2	0,7	0,7
სრული საშუალო განათლებით	44,7	28,2	21,7	19,5
უმაღლესი განათლებით	29,1	14,5	11,8	11,9

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არაპროგრესულ სტრუქტურაზე მიუთითებს ასევე დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (ცხრილი 4). მომუშავეთა ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობას მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 11 პროცენტი უკავია.

საქართველოში უმუშევრობის არაერთი მიზეზი არსებობს როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათისა.

ეკონომიკური ხასიათის მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ:

**ეკონომიკის ტრანსფორმაცია.** საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ბუნებრივია, დაადგა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზას, რომელიც მოითხოვდა სრულიად ახალ წყობილებაზე გადასვლას, რომლის დროსაც ინგრევა ძველი ინსტიტუციები და შენდება ახალი. რასაკვირველია, ეს ცვლილებები დაკავშირებულია ორგანიზაციების გარდაქმნასთან, ზოგიერთის საერთოდ გაუქმებასთან და ა.შ. საწარმოებს სრულიად ახალ პირობებში უწევთ საქმიანობა, ადრე თუ მათ სახელმწიფო მფარველობდა, ახლა მძაფრ კონკურენციას უნდა გაუძღონ, რის გამო ზოგიერთის გამოშვება მცირდება, ზოგიერთი წყვეტს კიდევაც საქმიანობას. ახალი ინსტიტუტებისათვის საჭირო კადრების მომზადებას სჭირდება საკმაოდ დიდი დრო და სხვ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში აუცილებლად გვექნებოდა საქმე უმუშევრობასთან.

**დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით**  
(პროცენტობით ჯამთან)

	2000	2003	2005	2007
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	52,1	54,9	54,3	53,4
სამთომშობვეებითი მრეწველობა	0,4	0,2	0,3	0,3
დამამუშავებელი მრეწველობა	5,9	4,9	5,1	4,9
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	1,7	1,1	1,3	1,1
მშენებლობა	1,8	2,2	2,5	4,2
ვაჭრობა; რემონტი	10	10,9	10,8	9,9
სასტუმროები და რესტორნები	0,9	0,9	0,9	1,1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	4,1	4,2	4,0	4,2
საფინანსო საქმიანობა	0,5	0,5	0,8	1,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა	2,2	1,8	1,5	2,0
სახელმწიფო მმართველობა	6,1	5,0	4,7	3,8
განათლება	6,5	7,5	7,5	7,3
ჯანმრთელობის დაცვა, სოც. დახმარება	4,9	2,7	3,3	3,5
კომუნალური, სოციალური მომსახურება	2,6	2,5	2,2	2

**ეკონომიკის საწყისი მდგომარეობა და ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლა.** ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის გარკვეული მზადება საქართველოში წინასწარ დაიწყო, მაგრამ იგი ზოგად განცხადებებსა და მეცნიერულ მოსაზრებებს (განსხვავებით ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან) ვერ გაცდა. პირიქით, ზოგიერთი არაფრის მომცემი აქციების გამო (გზების გადაკეცვა, საწარმოების გაჩერება და ა.შ.) ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო დასუსტდა. მას დაემატა ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ეკონომიკური კავშირები, რომელიც საქართველოს ძირითადად საბჭოთა კავშირში შემაჯავლ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, რუსეთთან ჰქონდა, მოიშალა. ახალი კავშირების დამყარებას კი (რადგანაც ეს წინასწარ არ იყო მომზადებული) დიდი დრო სჭირდებოდა. დღესაც კი ეს კავშირები საკმაოდ სუსტია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონის გამო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში საწარმოთა დიდი ნაწილი მუშაობას შეწყვეტდა ან შეკეცავდა, რაც, რასაკვირველია, უმუშევრობის ზრდასთანაა დაკავშირებული.

**წინა წყობილებაში არსებული ფარული უმუშევრობა და ინფლაცია.** საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ეკონომიკაში თავი იჩინა ფარულმა უმუშევრობამ. იმის გამო, რომ ქვეყანაში უმუშევრობა არ ყოფილიყო, თითქმის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შტატები გაბერილი იყო და მუშაობდა საჭირო რაოდენობაზე მეტი. ეს ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე, ანუ, უფრო სწორად, შემოსავლების გადანაწილების ხარჯზე. საბაზრო ეკონომიკისათვის კი ასეთი მდგომარეობა შეუთავსებელია, რაც იწვევს ზედმეტი მუშახელის გამოთავისუფლებას.

საბჭოთა ეკონომიკისათვის ასევე დამახასიათებელი იყო ფარული ინფლაცია. მოსახლეობაში იყო გაცილებით მეტი ფულის რაოდენობა, ვიდრე შესაბამისი პროდუქციის მოცულობა. ფასები კი წინასწორულზე გაცილებით დაბალი, ვინაიდან მას სახელმწიფო ადგენდა. ფასების გათავისუფლების შემდეგ კი, ბუნებრივია, იგი სწრაფად გაიზრდებოდა და სუპერინფლაციაში გადაიზრდებოდა, რამაც უმუშევრობის ზრდას შეუწყო ხელი.

**ეკონომიკური დაქვეითება.** ეკონომიკური დაქვეითება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1991–1994 წლები, როდესაც ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ სირთულეებს შინა ომები და შეიარაღებული კონფლიქტები აძლიერებდა. მშპ-მ 1994 წელს 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,5 პროცენტი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1990 წლის მხოლოდ 16 პროცენტის ტოლი იყო. აღნიშნულ წლებში თითქმის ნახევრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, კატასტროფულად მცირდება მშენებლობის მასშტაბები. მკვეთრად დაეცა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე. ელექტროენერჯის გამომუშავება ორჯერ შემცირდა, თითქმის შეწყდა ქვანახშირის წარმოება, კრიტიკულ დონემდე დაეცა ნავთობის მოპოვების მოცულობა, არაგადახდისუნარიანობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება. ეკონომიკურ დაქვეითებას აძლიერებდა წინა წლებში ფარული ინფლაციით და უმუშევრობით გამოწვეული ინფლაციის მაღალი ტემპები. ე.ი. ადგილი ჰქონდა სტაგფლაციას, რასაც თანახლდა ფართომასშტაბიანი ციკლური უმუშევრობა, რომელსაც შეიძლება **ტრასფორმაციული სტაგფლაციური ციკლური უმუშევრობა** ვუწოდოთ და რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია თუ არ აღმოფხვრა მისი წარმომშობი მიზეზები.

**ეკონომიკური რეფორმები და მისი განხორციელების დროს დაშვებული შეცდომები.** იმ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა, რომელმაც საქართველოში ახალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლის დროს იჩინა თავი, შესაბამისი რეფორმების გატარების შედეგად სწრაფად უნდა აღმოფხვრილიყო. რასაკვირველია, ასეთი რეფორმების გამოცდილება არათუ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არ არსებობდა, რაც მდგომარეობას ართულებდა, მაგრამ არსებობდა მსოფლიოში საბაზრო ურთიერთობათა მრავალწლიანი გამოცდილება და საერთაშორისო ორგანიზაციები და საზღვარგარეთის ქვეყნები, რომლებიც როგორც მეთოდოლოგიურ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევდნენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს. ამდენად, არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ შესაბამისი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში რეფორმები სწრაფად დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, რეფორმების გზაზე არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რის შედეგადაც დღეისათვის ქვეყანაში გვაქვს დაბალგანვითარებული დეფორმირებული ეკონომიკა უმუშევრობის მაღალი დონით.<sup>2</sup>

**გლობალიზაცია.** გლობალიზაციის პროცესები განსაკუთრებით გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ძლიერდება და დღემდე გრძელდება. მსოფლიო მეურნეობა ყალიბდება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის ერთიან ბაზრად: საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში

<sup>2</sup> მაგ., აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., “შეცნეურება,” 2002; აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე; ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. ჟ. “ეკონომისტი”, 2009, №1; მესხია ა. მურჯიანელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., “თსუ გამომცემლობა”, 1996; პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., “პდწ”, 2002; სანთელაძე ნ. საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის შექმნილი და მსოფლიო გამოცდილება. წიგნში: “საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები”, ტ. 4. თბ., 2004; ჩიქავა დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. წიგნში: გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. თბილისი, “თსუ გამომცემლობა”, 2002; ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., 1997 და სხვ.

დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ წარმოებისა და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია. ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული სისტემების დანერგვის მეშვეობით ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიჭრა შიდასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესში ყველა ქვეყანა იღებს გარკვეულ სარგებელს, მას თან ახლავს ნაკლოვანებებიც. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია, რომლის გაუქმებაც არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ შეუძლია. სწორედ ასეთი მიდგომის კონტექსტში უნდა შეიძლოს ეკონომიკურმა მეცნიერებამ, შეიმუშაოს სახელმწიფო რეგულირების ისეთი მექანიზმი, რომელიც ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, ისარგებლოს გლობალიზაციის დადებითი მხარეებით და თავიდან აგვაშოროს უარყოფითი შედეგები.<sup>3</sup>

ახალ გააზრებას მოითხოვს საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები. მაგალითად ფარდობით დანახარჯთა თეორია (დ. რიკარდო), რომელიც გვეუბნება, რომ ქვეყნისათვის სასარგებლოა შემოიტანოს ის საქონელი, რომლის წარმოების დანახარჯები შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ექსპორტირებული საქონლისა. ჯერ ერთი, დანახარჯების სტრუქტურა გამუდმებით იცვლება (გარდა ბუნებრივი რესურსებისა) და, მეორეც, კიდევაც რომ არ იცვლებოდეს, დამოუკიდებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ქვეყანამ არ აწარმოოს ის პროდუქტი, რომლის ფარდობითი დანახარჯები მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში (დაუშვათ, სოფლის მეურნეობის პროდუქცია).

ახლებურად უნდა იქნეს გააზრებული სამუშაო ძალის თავისუფალი მიგრაციის, თავისუფალი (მცურავი) სავალუტო კურსის, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის პრობლემები.

**მცოდნეები** სავალუტო კურსის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ექსპორტის მოცულობაზე. სავალუტო კურსმა რომ ფასის როლი შეასრულოს, იგი უნდა დგინდებოდეს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. სინამდვილეში მასზე ასევე გავლენას ახდენს კაპიტალის ბაზარიც, რამაც შესაძლებელია ზოგიერთი ქვეყანა უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს. ასევე სერიოზული ნეგატიური შედეგები მოსდევს სპეკულაციებს სავალუტო ბაზარზე. ამიტომ აუცილებელი ხდება **სავალუტო კურსის საერთაშორისო რეგულირების** განხორციელება, რაც მხოლოდ შესაბამისი ორგანოების არსებობით იქნება შესაძლებელი.

<sup>3</sup> აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., “მერიდიანი”, 2006.



არ შეიძლება უარი ვთქვათ პროტექციონისტურ პოლიტიკაზე და კარი გავუღოთ ნებისმიერ მოვარდნილ ქარს, გამოწვეულს გლობალიზაციის პროცესებით. ქვეყნისათვის საჭიროა პრევენციები, ზომები, რომელიც ქვეყანას ანიჭებს გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობას.<sup>4</sup>

**საერთაშორისო დახმარებები.** საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ საერთაშორისო დახმარებების ხარჯზე ინარჩუნებდა სტაბილიზაციას. თუმცა, მიღებული დახმარებები რომ რეალურ სექტორში გამოყენებულიყო და საწარმოების აღდგენა-გადართავდა და ახალი სიმძლავრეების შექმნას მოხმარებოდა, მაშინ დღეისათვის პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობა გვექნებოდა, ეკონომიკის განვითარების გაცილებით მაღალი და უმუშევრობის გაცილებით დაბალი დონით.

**დემოგრაფიული სიტუაცია** საქართველოში არ არის მიმართული უმუშევრობის დონის გაზრდისაკენ, ვინაიდან მოსახლეობის ზრდის ტემპები თითქმის ნულოვანი ან უარყოფითია და დიდი შრომითი ემიგრაციაც უმუშევრობის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს. თუმცა, ორივე ეს მოვლენა, ვერ ვიტყვი, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებდეს, პირიქით, იგი ამცირებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და საერთოდ ქვეყნის სიძლიერეს.

**ინფლაციები,** როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოშობს რა სტრუქტურულ უმუშევრობას, ზრდის უმუშევრობის დონეს თუ შრომის ნაყოფიერება იზრდება და პროდუქციის ზრდის ტემპები კი ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს. საქართველოში სწორედ ამგვარ სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები** გლობალიზაციის პირობებში, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას. საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია 1998 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთში და დღევანდელმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, თუმცა დიდი საერთაშორისო დახმარებების მეშვეობით საქართველოს ეკონომიკა ღრმა ეკონომიკურ კრიზისს არ მოუცავს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეცესია სახეზეა. რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა უმუშევრობის ზრდა, ძირითადად სამშენებლო და საბანკო სექტორებში.

**კორუფცია** ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. კორუფციული მმართველობის დროს სახელმწიფო რესურსები მიედინება არა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებების შესაბამისად, არამედ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნება მისი მოპარვა.

შეიძლება გამოიყოს კორუფციის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი. მათგან უმთავრესია **არასრულყოფილი ინსტიტუციები** (უმთავრესად ფორმალურის, მაგრამ ასევე არაფორმალური საც), უპირველეს ყოვლისა, **სახელმწიფო მართვის არასრულყოფილი ინსტიტუტების არსებობა.**

არასრულყოფილ ინსტიტუტებში იგულისხმება: **განუვითარებელი სახელმწიფო დაწესებულებები; არასრულყოფილი საბაზრო ინფრასტრუქტურა; კონსერვატიული საკანონმდებლო ნორმების არსებობა; ახლადმიღებული კანონების არასრულყოფილება; კანონების, ნორმატიული აქტების, დადგენილებებისა და ა.შ. შესრულების დაბალი ხარისხი; საზოგადოებაში ისეთი ჩვევებისა და ტრადიციების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობს კორუფციის გაძლიერებას; სახელმწიფო სექტორში ხელფასების დაბალი დონე, კერძო სექტორთან შედარებით; ბიუროკრატიული ელიტის მოწყვეტა ხალხისაგან; მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სხვ.**

საქართველოში უმუშევრობის არაეკონომიკური ხასიათის მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ:

<sup>4</sup> Морис Алле. Глобализация: разрушение условий занятости и экономического роста. М., ТЕИС, 2003.

**გეოგრაფიული მდებარეობა** საქართველოს, ერთი მხრივ (წარმოადგენს რა იგი მსოფლიო სატრანზიტო დერეფანს), აქვს განვითარების დიდ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ (ხვდება რა დიდი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროში) წარმოადგენს შემაფერსებელ ფაქტორს. ამ ვითარებას შეესაბამება დღევანდელი მდგომარეობა. საქართველოზე გადის (და მომავალშიც მოსალოდნელია მათი რაოდენობის ზრდა) საერთაშორისო სატრანზიტო მარშრუტები, იღებს დიდი რაოდენობის საერთაშორისო დახმარებებს, მაგრამ, ამავე დროს, უხდება ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის. ათასობით ლტოლვილთა არსებობა, ომები, რუსეთის ბაზრის დაკარგვა, ბუნებრივია, დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და ზრდის უმუშევრობის დონეს.

**სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა** საქართველოსათვის (გასხვავებით რუსეთის, პოლონეთის, რუმინეთის და ა.შ.) დამატებით საზრუნავს წარმოადგენდა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ამოცანის განხორციელებასთან ერთად, რამაც, რასაკვირველია, თავისი ნეგატიური გავლენა იქონია რეფორმების ხარისხსა და ვადებზე.

**კრიმინოგენური სიტუაცია** საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკიდურესად დაძაბული იყო (განსაკუთრებით 1995 წლამდე, თუმცა იგი დაძაბული რჩებოდა 2004 წლამდე). შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა ფაქტობრივად ცალკეული კრიმინალური დაჯგუფებების ხელში იყო. ამჟამად კრიმინოგენური სიტუაცია დამაკმაყოფილებელია და ეკონომიკის განვითარებისათვის ამ მიმართულებით საშიშროება არ არსებობს.

უმუშევრობის დონის შემცირებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს უმუშევრობის დონის ზრდის თავიდან აცილებასა და დასაქმების დონის ზრდის, ანუ უმუშევრობის დონის შემცირებაზე. ე.ი. აღნიშნულმა მექანიზმმა უნდა შეძლოს გამოავლინოს უმუშევრობის ახალი კერები, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ კერების აღმოფხვრას, დასახოს არსებული უმუშევრობის დონის შემცირების გზები და უზრუნველყოს მათი ცხოვრებაში გატარება.

მექანიზმი უნდა მოიცავდეს **იურიდიულ ბაზას, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს.**

იურიდიული ბაზა ემყარება არსებულ კანონებს, დებულებებს, წესებსა და დეფინიციებს.

რეგულირების ინსტრუმენტები შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგრამ ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც ეკონომიკის სფეროში მოქმედებს, თავის შედეგით ეკონომიკურია. თუმცა მაინც ძირითადად შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვაოთ ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო, ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ინსტრუმენტები.

ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო ხასიათის ინსტრუმენტებია მაგალითად, სტანდარტები, ნორმები, ნორმატივები, კვოტები და სხვა სახელმწიფო რეგლამენტაციის ზომები.

ეკონომიკურ ინსტრუმენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სხვა ბერკეტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის მასტიმულირებელ თუ საჯარიმო ღონისძიებებს.

ორგანიზაციული ხასიათის ინსტრუმენტებს კი მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამა თუ იმ სფეროს რეორგანიზაციის თუ ინსტიტუციური მოწყობის შესახებ და ა.შ.

რეგულირების განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) სისტემას, რომელიც უნდა ყურდნობოდეს მეცნიერულად შემუშავებულ საბაზრო ეკონომიკისათვის შესაბამის აღრიცხვი-

სა და სტატისტიკური ანგარიშების სისტემას და მიღწეული დონის შემაფასებელ პარამეტრთა ერთობლიობას.

რეგულირების ღონისძიებებს არსებული სიტუაციის შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ მარეგულირებელი ორგანოები. ეს ღონისძიებები, ბუნებრივია, ეხება შრომის ბაზრის ინსტიტუციურ მოწყობასა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

მაკროეკონომიკური რეგულირების ორგანოები უნდა მოიცავდეს ხელი-სუფლების ყველა შტოს: საკანონმდებლოს (პარლამენტი), აღმასრულებელს (პრეზიდენტი, მთავრობა) და სასამართლოს.

დღეისათვის საქართველოში შეიძლება გამოვყოთ უმუშევრობის დონის შემცირების შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. საქართველოში უმუშევრობის რეგულირების უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენს შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა. დღეისათვის შრომის ბაზარი საქართველოში უკიდურესად სტიქიურია: არ არსებობს შრომის ბირჟა, დასაქმების სახელმწიფო სამსახური და ინფრასტრუქტურა, რომელიც მათ ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არათუ რეგულირების განხორციელება, არამედ, უბრალოდ, რეალური სურათის დახატვა უმუშევრობის მდგომარეობაზე ქვეყანაში.

უნდა შეიქმნას **დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახური**, რომელიც შეასრულებს შრომის ბირჟის როლს. მის მოვალეობაში უნდა შევიდეს: თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა (პასიურ და აქტიურ) აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.) და სათანადო ინფორმაციის მომზადება; საქართველოში შრომით ემიგრანტთა და იმიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვ.

სასურველია ასევე შეიქმნას **დასაქმების ფონდი**, რომლის შემოსავლების წყარო იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები, სავალდებულო გადასახდელები ბიზნესიდან და ნებაყოფლობითი შენატანები. ფონდი დააფინანსებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს დასაქმების სფეროში.

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში უმუშევრობის დონის შემცირება ძირითადად დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ე.ი. ახალი კაპიტალდაბანდებების განხორციელებასთან. გარდა ამისა, ინოვაციების განხორციელებას, რომელსაც თან ახლავს შრომის მწარმოებლურობის ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა რომ არ მოჰყვეს, აუცილებელია წარმოების გაფართოება შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროპორციულად. ე.ი. საქართველოში, ვინაიდან ადგილი აქვს უმუშევრობის მაღალ დონეს და წარმოებაში ინერგება სიახლეები, უმუშევრობის არსებული დონის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ გაუსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. უმუშევრობის დონის შემცირებას ართულებს ასევე შრომითი ემიგრანტების დაბრუნება. მაშასადამე, ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფასთან ერთად, მოითხოვება ეკონომიკის მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა, რისთვისაც საჭიროა ახალი დიდი მოცულობის დაბანდებების განხორციელება. ეს კი შესაძლებელია როგორც შიგა, ისე გარე ინვესტიციების ხარჯზე. შიგა ინვესტიციების შეზღუდულობის გამო კვლავ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უცხოურ ინვესტიციებს – როგორც შედარებითან კრედიტებს, ისე დახმარებებს და პირდაპირ ინვესტიციებს. ამასთან, სახელმწიფო კრედიტები და დახმარებები გამოყენებული უნდა იქნეს როგორც რეალურ წარმოებაში, ისე მომსახურებაში, ვინაიდან ინოვაციის პირობებში მხოლოდ

რეალური სექტორი ვერ აითვისებს შრომით რესურსებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმის განვითარებას, ვინაიდან საქართველოში ამის შესანიშნავი შესაძლებლობა არსებობს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას უნდა მოითხოვებოდეს ადგილობრივი მუშახელის დასაქმება, ამიტომ უნდა განხორციელდეს მათი წინასწარი გადამზადება.

3. ადგილობრივი ინვესტიციების მობილიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივ ბიზნესმენებზე სახელმწიფო მოხელეთა ყოველგვარი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა, ანუ კორუფციის აღმოფხვრა.

დანახარჯები კორუფციის მთლიანად აღმოსაფხვრელად ძლიერ მნიშვნელოვანია და იგი მოიცავს არა მხოლოდ შესაბამის ღონისძიებებზე გაწეულ მატერიალურ დანახარჯებს, არამედ საზოგადოების თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ დანახარჯებსაც. ამასთან, რაც უფრო ძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო იზრდება კორუფციული შესაძლებლობების პოტენციალი. ე.ი. კორუფციის აღმოფხვრის გზაზე დანახარჯების სიდიდე თანდათან იზრდება და არ მცირდება. მიუხედავად ამისა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას შესაძლებელია მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს (ამაზე მეტყველებს პორტუგალიის, შვეციის, სინგაპურისა და სხვათა შედეგები).

**ეკონომიკური თვალსაზრისით, კორუფციის აღმოსაფხვრელად დანახარჯების გაღება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მისი აღმოფხვრის ეკონომიკური შედეგები მეტი იქნება დანახარჯებზე. ე.ი. კორუფციის ოპტიმალური დონე მიიღება მაშინ, როდესაც დანახარჯები, გაწეული მისი აღმოფხვრისათვის, გაუტოლდება მიღებულ შედეგს, ვინაიდან ამის შემდეგ დანახარჯები გადააჭარბებს შედეგს.**

კორუფციის შემცირების მაკროეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებიდან უმთავრესია ისეთი მაკრო- და მიკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც აღმოფხვრის კორუფციის წარმოშობ მიზეზებს, უპირველეს ყოვლისა, გააუმჯობესებს არსებულ ინსტიტუციებს. გარდა ამისა, შეიძლება გამოვეყოთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ძირითადი მეთოდები:<sup>5</sup>

**კანონებისა და მათი შესრულების გამკაცრება, რასაც შედეგად მოჰყვება კორუფციაზე წასვლის რისკის ამაღლება; საბაზრო ძალების გაძლიერება; ჩინოვნიკთა ხელფასების გაზრდა; ფინანსური კონტროლი (აუდიტი); დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება და სხვ.**

4. დასაქმებისა და უმუშევრობის შემცირების უდიდესი რეზერვი არის მცირე ბიზნესი. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების დონე დაბალია, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის განვითარებული ინფრასტრუქტურა. საქართველოში კი მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება თითქმის არ ხდება. აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შეიქმნას მისი სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა.<sup>6</sup>

5. საერთოდ, როგორც ეკონომიკის განვითარების, ისე უმუშევრობის დონის შემცირებისათვის აუცილებელი პირობაა სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება. დღეისათვის ჩვენი ეკონომიკა დეფორმირებულია, ვინაიდან საბაზრო ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბებულია და მისი სტრუქტურა არა-

<sup>5</sup> Козонов Э.Ю., Жукаев А. Коррупция: истоки и пути преодоления. М., МАКС Пресс, МГУ им. М.В. Ломоносова, 2009.

<sup>6</sup> საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით იხილეთ წიგნი: აბესაძე რ., კაკულია ე. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ., “პაბლა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2008.

სრულყოფილი. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ეკონომიკური რეფორმების სწორად წარმართვა, რისთვისაც:

- საჭიროა მთავრობის არაეკონომიკური ქცევების აღმოფხვრა;
- საკუთრების ხელშეუხებლობის მოთხოვნის დაცვა;
- კონკურენციის გაძლიერება, რისთვისაც აუცილებელია ანტიმონოპოლიური სამსახურის რეალურად ამოქმედება.
- საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება და გაძლიერება;
- ეფექტიანი პრივატიზების განხორციელება.

6. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა საქარველოში, ძირითადად, არ არის მიმართული უმუშევრებს დონის გაზრდისაკენ, ვინაიდან კანონით არ არის დადგენილი ნომინალური ხელფასის დონე. იაფი მუშახელის არსებობაც უმუშევრობის დონის შემცირების ხელშეწყობი პირობაა. პროფკავშირების განუუეთარებლობაც უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ.

7. სახელმწიფომ, მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის (მათ შორის პრეფერენციების შემოღებით) გამოყენებით, უნდა წახალისოს საექსპორტო და იმპორტშემცველი წარმოება. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროგრამების განხორციელება.

8. პერსპექტივაში, სოფლად ფერმერული მეურნეობების განვითარების (იგულისხმება შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა) კვალობაზე, წარმოიშვება დიდი რაოდენობის ჭარბი მუშახელი, რომელთა დასაქმებისათვის მიზანშეწონილი იქნება მცირე მრეწველობის განვითარება სოფელ ადგილებში.

9. უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების ორგანიზება, რისთვისაც სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ბიუჯეტის სახსრები, უცხოური კრედიტები და დახმარებები.

*Ramaz Abeasadze*

*Doctor of Economics, professor*

## UNEMPLOYMENT AND ITS CAUSES IN GEORGIA

### Summary

In most countries postcommunist transformation began with economic decrease. In Georgia it was expressed most evidently. These processes were followed by very high level of unemployment.

Many postcommunist countries could overcome the difficulties and build more or less perfect market economy; decrease the unemployment almost to natural level. Some of them including Georgia could not solve this problem in the process of reform implementation because of mistakes and other objective or subjective causes. Hence, as a result, we have a high level of unemployment in these countries.

The article analyzes the situation and causes of unemployment in Georgia, there are mapped out measures to decrease the unemployment level.

**Теймураз Беридзе**

доктор экономических наук,  
профессор Международного Университета  
Чёрного моря (г.Тбилиси)

## **ПОЛИТИКО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ РАЗМЫШЛЕНИЯ ОБ АВГУСТОВСКОМ (2008) КОНФЛИКТЕ В ГРУЗИИ**

Конец лета 2008 года ознаменовался достаточно серьезным военно-политическим противостоянием между Грузией и Россией, который повлек за собой ряд глубоких негативных результатов – *политических* (признание независимыми самопровозглашенных регионов Грузии со стороны России и её сателлита-Никарагуа), гуманитарных (гибелью людей, потерей людьми десятками лет обжитых мест проживания, и возникновением несколько десятков тысяч временно перемещенных лиц), *экономических* (любые военные действия чреваты отрицательным эффектом для экономик вообще, и в большей степени малых, в силу их малой степени самодостаточности). В *международном же масштабе*, конфликт поставил под сомнение ряд основополагающих и универсальных принципов международного права (и прежде всего, принцип верховенства государственного суверенитета и территориальной целостности государств), что чревато в будущем возможным нарушением миропорядка, и может обернуться негативно для самой же России.

Конечно дать полную (правовую в первую очередь) оценку данному явлению не представляется возможным в одной журнальной статье, и конечно же требуется глубокий анализ специалистов самых разных направлений обществоведения и военной науки.

8. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

**Zurab Revishvili**

*Academic Doctor of Economics*

### LIVE ISSUES OF AGRICULTURAL ORDER POLICY

#### Summary

There are examined some developing and developed countries experience in the formation of land market; principles of the governmental land regulations, tendencies of regulations plots and farm sizes in small land countries; regulative laws of land distribution.

There are offered some ideas, helping the efficient land distribution in Georgia; also are proposed principles of promoting governmental regulations of agricultural land in the country.

**ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები**

*როლანდ სარჩიშვილი*  
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი*  
*ნაწილი არევაძე*  
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

**მოსახლეობის კლიმრი საშუალო ფენის ფორმირებისათვის  
საძაბოველოში**

მოსახლეობის ფენებად დაყოფის საფუძვლად მიჩნეულია სიმდიდრე ან შემოსავალი, რაც შემდგომ განათლებისა და კულტურის დონეებით შეიძლება დაზუსტდეს. მოსახლეობაში საშუალო ფენის პროცენტული შემადგენლობის ზრდა და მცირე მეწარმეობის განვითარება საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

განვითარებულ ქვეყნებში „მუდამ მშფოთვარე“ [1, გვ. 563] მოსახლეობის საშუალო ფენაზე მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60-75% მოდის, პოსტკომუნისტურ საქართველოში კი ის 15-20%-მდე ვარირებით შეიძლება დახასიათდეს და მის ოპტიმალურ მნიშვნელობაზე მხოლოდ მინიმუმით შეიძლება საუბარი.

მდიდრად ითვლება ფენა, რომელიც ფლობს საუკეთესო ეკონომიკურ პირობებს და გააჩნია მაღალი შემოსავალი, ზოგჯერ ზრუნავს სხვა ფენების კეთილდღეობის ამალგებაზეც. მოსახლეობის ღარიბ ფენას თავი ძლივს გააქვს და მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დონეზე არსებობის შენარჩუნებას ცდილობს. განვითარებულ ქვეყნებში მათზე მთელი მოსახლეობის დაახლოებით 20% მოდის, 3-5%-ის ცდომილებით.

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნა ყველგან და მ.შ. საქართველოშიც გულისხმობს მოსახლეობის საშუალო ფენის რიცხოვნობის ზრდას, შეფასებისათვის კრიტერიუმების დადგენას და მისი მიხედვით მოსახლეობის სტრუქტურის ოპტიმიზაციას, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციები, არამედ ქვეყნის შინაგანი რესურსებით საქმიანი აქტივობის დაფინანსების შესაძლებლობები და მათი თავისუფალი მოქმედებისა და სინერგიული ეფექტის მიღებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ეს, უმუშევრობის შემცირებასთან ერთად, საშუალო ფენის გაძლიერებას გამოიწვევს, ხოლო დაზღვევის სხვადასხვა ფორმის გამოყენების მოშველიება მნიშვნელოვნად შეამცირებს ყოველგვარ მოსალოდნელ რისკს. უნდა ითქვას იმაზეც, რომ მუშაობა ამ მიმართულებით საქართველოში უკვე დაწყებულია, მაგრამ მოსახლეობას ბოლომდე ჯერაც არ აქვს გაცნობიერებული დაზღვევის არც არსი და არც მოსალოდნელი შედეგები.

შევნიშნავთ, რომ პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკაში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახელმწიფომ აშკარად დაიწყო ზრუნვა მოსახლეობის მდიდარი ფენის შესაქმნელად, რამაც, ფაქტობრივად, საშუალო ფენის გაღარიბების ხარჯზე გამდიდრებული პარტოკრატისა და ტექნოკრატის დიდი ნაწილი გააძლიერა, საშუალო ფენა კი ძალზე დაასუსტა. ამის ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების დროს წინა პლანზე პროლეტარიატის ჰეგემონიის წამოწევა.

მოსახლეობის საშუალო ფენაში ვგულისხმობთ ცხოვრების საშუალო დონეზე შესანარჩუნებლად „მოღვაწე“ ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც უმუშევრები არ არიან, აქვთ საშუალო შემოსავალი, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე და საარსებო საშუალებებზე, ანუ ა. მასლოუს მიხედვით, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გარდა, ბევრი სხვა მოთხოვნილებაც, იქნება ეს უსაფრთხოებისა თუ მომავლის საიმედოობის, სოციალური, პატივისცემის თუ თვითგამოხატვის და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. თითქმის ყვე-

ლა განვითარებულ ქვეყანაში სწორედ მოსახლეობის საშუალო ფენაა ხელი-სუფლების დასაყრდენი, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი და ცხოვრებაში მისი განმასხვრციელებელი, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი, ჯანსაღი მომავალი თაობის აღმზრდელი და ა.შ.

საშუალო ფენაში მოხვედრილ ადამიანთა უმრავლესობა გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობის უნარით, განათლების მაღალი დონით, პატრიოტიზმით, შრომითი საქმიანობის გააქტიურებისაკენ მისწრაფებით და ა.შ. მოსახლეობის საშუალო ფენაში მოიაზრებიან მენეჯერები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, ეკონომისტები, მეცნიერები და სხვა.

სხვადასხვა ქვეყანაში საშუალო ფენის მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად გამოყენებული ზოგადი კრიტერიუმები პრინციპში ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მიღებული შედეგები ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდება, რამდენადაც დიდი როლი ექსპერტულ შეფასებებს ენიჭება, რომელშიც უპირველესად გაითვალისწინება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული რეალობა, რომლის ინდიკატორები შეიძლება იყოს პოლიტიკური აქტივობა, სიმდიდრისა და განათლების დონე, კულტურული ფასეულობები და ა.შ. ამიტომ ის, ვინც ერთ ქვეყანაში მდიდრად ითვლება, მეორეში შეიძლება ღარიბად იქნეს მიჩნეული და პირიქით.

საქართველოში ძალზე გართულებულია მოსახლეობის ფენების მიხედვით ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. ასეთი მანკვნებლების გაურკვეველობის გამო, სიძნელეები იქმნება და იძულებული ვხდებით, ვისარგებლოთ მხოლოდ ექსპერტული შეფასებებით, რომელიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს და, ამდენად, ზუსტი ვერ იქნება.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესოა აკად. ა. გუნიას სტატიაში [2, გვ. 7] მოყვანილი მონაცემები, რომელიც ასახავს საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დასაწყისში მოსახლეობის სამივე ფენის ქონებრივი დიფერენციაციის მანკვნებლებს (იხ. ცხრილი). ამავე ცხრილში ჩავრთეთ ჩვენი, როგორც ექსპერტების სავარაუდო მონაცემები და მონაცემები, რომელიც თ. აქუბარდიას სტატიიდან [3, გვ. 411] არის მოყვანილი.

*ცხრილი*

**მოსახლეობის ფენებად დაყოფის საორიენტაციო მანკვნებლები პროცენტებში**

	ა. გუნიას შეფასებით 1992-1993 წწ.	ჩვენი თვალ- საზრისით 2000 წ.	თ. აქუბარდიას მიხედვით 2003 წ.	ჩვენი თვალ- საზრისით 2005-2008 წწ.
მდიდრები	8	2-5	5-8	8-10 მ.შ. ელიტა 3-5
საშუალო ფენა	15	5-8	20-25	15-20
ღარიბები	77	93-87	75-67	77-70

წარმოდგენილი მონაცემებით საყურადღებოა ის, რომ მოსახლეობის საშუალო ფენის პროცენტული შეფასება, საორიენტაციო პროგნოზითაც კი, 15-20%-ს არ აღემატება, რაც, ჩვენი თვალსაზრისით, საეჭვო არ უნდა იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, ძალზე დაბალია. ამის მიზეზად მიჩნეულია ის, რომ მეცნიერ-მუშაკების, პედაგოგების, ინჟინრების, ექიმების და ა.შ. დიდი ნაწილი, მცირე ხელფასების ან სულაც უმუშევრობის გამო, ჩათვლილია ღარიბი მოსახლეობის შემადგენლობაში, რაც, შესაძლოა, ჯერ კიდევ არ იყოს საგანგაშო, თუ მას

მხოლოდ დროებითი ხასიათი ექნება, თუმცა ნამდვილად საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ჩვენს სინამდვილეში, სრულიად დაკნინებული და უგულვებელყოფილია სამეცნიერო საზოგადოების და საერთოდ მეცნიერების წამყვანი როლი როგორც მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში, ისე ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მაშინ, როცა სწორედ მეცნიერებაა ყველგან მიჩნეული და აღიარებული არა მხოლოდ ინოვაციური, არამედ უკვე ახალი სუპერკომპიუტერული ტექნოლოგიების შემმუშავებელ და ეკონომიკაში მის დამნერგავ ძალად, რაც ახლა, ჩვენს პირობებში, შეუძლებელია მეცნიერული გამოკვლევების ძალზე შეზღუდული საბიუჯეტო დაფინანსების გამო, და როცა კატასტროფულად ეცემა მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობა. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ათეულ წლებით ჭკვიანი ადამიანების გონებით შექმნილი მეცნიერული მიღწევების დანგრევა რამდენიმე დღეში შეიძლება, მის მომავალ აშენებას კი ათეული წლები აღარ ეყოფა.

ყურადღებას იქცევს პროფ. უ. სამადაშვილის საკმაოდ მიმზიდველი და საინტერესო მსჯელობა საქართველოში ძლიერი საშუალო ფენის შემდგომი განვითარების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების, კონკურენტუნარიანი ეროვნული ეკონომიკისა და ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის“ [4, გვ. 37]. მაგრამ სამწუხაროა, რომ სტატიაში საშუალო ფენის რიცხოვნობის შეფასების თუნდაც საორიენტაციო მაჩვენებლები მოყვანილი არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის საშუალო ფენის რიცხოვნობა ძლიერ შემცირდა ბევრი ჩვენი თანამემამულის საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრების გამო, რამდენადაც მათ ქვეყნის შიგნით ვერც სამუშაო იშოვეს და ვერც საარსებო საშუალებები. წასულთა უმრავლესობა სწორედ მაღალი დონის ახალგაზრდა სპეციალისტები: მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები, მაღალკვალიფიციური მუშები – საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან. საგანგაშოა, რომ წამსვლელთა რაოდენობა არ მცირდება, შესაძლებელია იზრდება კიდევ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საზღვარგარეთ, ოფიციალურად, მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე იმყოფება, არაოფიციალურად რამდენია არავინ იცის, რომელთა ერთი ნაწილი, შესაძლოა, ჩვენთვის საბოლოოდ დაკარგულიც იყოს თუ უკან აღარ დაბრუნდება. თუმცა, ამ პროცესს თავისი დადებითი მხარეც აქვს. ჯერ ერთი, ქვეყანაში მცირდება უმუშევართა რაოდენობა და მეორეც, მათ მიერ სამშობლოში გამოგზავნილი მილიონობით დოლარით ბევრი ჩვენი თანამემამულე არსებობას ინარჩუნებს, განსაკუთრებით ახლანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. თუ ხელისუფლება შეიძლებს უცხოეთში სამუშაოდ წამსვლელთა შესაჩერებელი ღონისძიებების შემუშავებას და მის რეალიზაციას ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, ამით ბევრად შეუწყობს ხელს როგორც წამსვლელთა რაოდენობის შემცირებას, ისე წასულთა უკან დაბრუნების ზრდას, რაც შეიძლება, მოსახლეობის საშუალო ფენის რიცხოვნობის მკვეთრი მატების საფუძველი გახდეს.

მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირებაზე გარკვეული გავლენის მოხდენა პრივატიზაციის პროცესსაც შეუძლია, თუმცა იმ პროცესმა, რომელიც 90-იან წლებში დაიწყო და ახლაც გრძელდება, ეს ვერ შეძლო. შეიძლება ითქვას, რომ პრივატიზაცია დასაწყისში თითქმის თვითდინებაზე იყო მიშვებული მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში და, კერძოდ, საქართველოში. „მასიური პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფო საკუთრება ძალზე შემცირებული ფასებით გაიყიდა. ამკარად და ფარულად მიეყიდა ის ყოფილ პარტოკრატებს, ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებულ პირებს, სახელმწიფო მოხელეებს. გაიყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა თითქოსდა იმ პრინციპით, რომ აღებული თანხებით გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედება უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა... ყველაფერი ძირითადად ცალკეული ოჯახური კლანების ხელში მოხვდა, მაშინ, როცა მშრომელებს,



მეცნიერების და ინტელიგენციის წარმომადგენლებს არაფერი შეხვედრიათ 5 ლარიანი ვაჭურისა და, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი (საბჭოთა ხელისუფლების დროს მიღებული ან აშენებული) ბინების გარდა“ [5, გვ. 105].

ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, პროფ. ვლ. პაპავას აზრით, „პრივატიზაციის მიზანი ბევრი ფულის ამოღება კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რომ პრივატიზებულმა ობიექტებმა მომავალში უკეთ იმუშაოს“ [6, გვ. 35]. როგორც ვხედავთ, ეს უდავოდ ჭეშმარიტი მოსაზრება პრივატიზაციის პროცესის გამტარებელთა მხრიდან ჯერაც არ არის ბოლომდე გაზიარებული და ამიტომ საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესს დადებითი ზეგავლენა არც საშუალო ფენის ფორმირებასა და გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედებაზე და არც ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე არ მოუხდენია. მან მხოლოდ ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური უთანასწორობის გამწვავებას და ქონებრივ პოლარიზაციას, რაც იმით გამოიხატა, რომ მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, საშუალო და ღარიბი ფენა კიდევ უფრო გაღარიბდა. ამასთან, მდგომარეობამ გარკვეული გაუმჯობესება თითქოსდა დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაგრამ ინვესტიციების სიმცირის გამო, ვითარება არსებითად არ გაუმჯობესებულა. მით უმეტეს, რომ მას გასულ წელს აგვისტოს მოვლენები და გლობალური საფინანსო კრიზისიც დაემატა.

შექმნილ ვითარებაში მდგომარეობიდან გამოსავალი, მეწარმეობის განვითარების ისტორიის ანალოგიით, შეიძლება მოიძებნოს მცირე მეწარმეობის განვითარებით, რომლითაც ხელი შეეწყობა საშუალო ფენის რიცხოვრივ ზრდას და გაძლიერებას, საზოგადოებაში მეწარმეობრივი ნიჭის გამოვლენას, უმუშევრობის დონის შემცირებას, ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას [7]. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება ჯონ მენარდ კეინზის ცნობილი დებულება, რომელსაც ემკ ნ. ბიბილაშვილმა მიაქცია ყურადღება, რომლის თანახმად, მთავრობამ წარმოების სტიმულირებისა და უმუშევართა სამუშაო ადგილებზე დასაბრუნებლად უნდა გაზარდოს სახელმწიფო ხარჯები, თუნდაც იგი იწვევდეს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას [8, გვ. 160-161], რასაც მოჰყვება მცირე მეწარმეობის განვითარება მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებასთან ერთად.

ამას უნდა დაემატოს უცხოური დახმარების ნაწილის ამ მიზნით გამოყენება და, რაც მთავარია, მოსახლეობის მდიდარი ფენის კეთილსასურველი დამოკიდებულება საშუალო ფენის გაძლიერების მიმართულებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი. „დიოგენე“. 2000. თარგმნილი ინგლისურიდან.
2. გუნია. მოსახლეობის ცხოვრების დონე – ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ეკონომიკის სერია, ტ. 1. №1, 1993. გვ. 5-17.
3. თ. აქუბარდია. საქართველოს საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის გზები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ეკონომიკის სერია, ტ. II. №4, 2003. 407-418.
4. უ. სამადაშვილი. საშუალო კლასის ფორმირების პრობლემები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2 ივლისი, 2009, გვ. 37-43.
5. რ. აბესაძე, რ. სარჩიშვილი, ნ. არევაძე, მ. მეღაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ., „უნივერსალი“, 2004.

6. ვ. პაპავა. ოთხი წელი „ვარდისფერ“ პარლამენტში. თბ., „სიახლე“, 2009.
7. რ. აბესაძე. „სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქვს“. „სახელმწიფო დახმარების გარეშე მცირე მეწარმეობა ვერ განვითარდება“. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 12 აგვისტო, 2009.
8. ნ. ბიბილაშვილი. დასაქმების ძირითადი პრინციპები ეკონომიკის კეინ-ზიანურ თეორიაში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. I, თბილისი, 2008, გვ. 158-163.

**Roland Sarchimelia**

*Doctor of Economic Sciences*

**Nanuli Arevadze**

*Academic Doctor of Economics*

## **FORMATION OF STRONG MIDDLE CLASS OF POPULATION IN GEORGIA**

### **Summary**

The article analyses the changes of middle class quantity and percentage in total amount of population and possibilities of its growth especially in connection with small production development.

There are exposed difficulties connected with determination of middle class quantity because of less reliability of official statistics and for lack of precise criteria.

Are emphasized the role of middle class in the formation of conditions for sustainable economic development in Georgia and the necessity of its further strengthening.

Are noticed some mistakes done in the process of transition from command to market economy, connected with bringing to the forefront the formation of rich class of population, wrongly realized privatization, large scale of population migration, wrong distribution of means of money without taking into account the possibilities to strengthen middle class and decrease the unemployment.

**ინვესტიციები**

*ლინა დათუნაშვილი*  
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

**გლობალიზაციის პირობებში ინვესტიციების დახანძრვის შესაძლებლობები საქართველოში**

გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკათა განვითარების პროცესის რეალური შედეგია, რასაც შემდეგი ძირითადი მიზეზები განაპირობებს: 1. ეკონომიკური განვითარების შინაგანი მოთხოვნები ამაღლდეს ადამიანთა ცხოვრების რეალური დონე, რითაც დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა; 2. ადამიანთა პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება; 3. მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ [1].

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა. იგი თავისი არსით უნივერსალურია და მისი ძლიერი ტენდენციები გავლენა დღეს გარდაუვალია. გლობალიზაცია ერთმანეთთან აახლოებს და ურთიერთდამოკიდებულს ხდის ქვეყნებს. იგი ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადაში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენებიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, **კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდას** და ა.შ...

გლობალიზაციის პირობებში იზრდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, მის ხელმისაწვდომობას, მისთვის სასურველი გარემოს შექმნას და მასთან დაკავშირებულ მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

საქართველო ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება და ადმინისტრაციულ-მმართველური ეკონომიკური ურთიერთობიდან საბაზრო ურთიერთობაზე გადადის. საქართველომ, რომელიც მსოფლიო გლობალიზაციის ნაწილია, უნდა შეძლოს, დღეს მიმდინარე პროცესებიდან აიღოს მისთვის დადებითი ისე, რომ თავი აარიდოს ამ პროცესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის საფრთხეებს.

მსოფლიო ეკონომიკაში ძლიერდება ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციები. აღნიშნული პროცესები, უცხოური ინვესტიციების ზრდის კვალდახე, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ინვესტიცია – ესაა ფინანსური, მატერიალური და ინტელექტუალური ფასეულობების ყველა სახეობა, რომელიც შეიძლება ჩაიდოს ნებისმიერი საქმიანობის სფეროში, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მაღალი მოგების მიღების მიზნით. ამ პროცესში ორი ძირითადი კომპონენტია გასათვალისწინებელი: დანახარჯები, ანუ საინვესტიციო დაბანდებები და შედეგები, ანუ ის შემოსავლები, რასაც ინვესტორი საინვესტიციო პროექტის განხორციელების შემდეგ იღებს.

ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის საშუალებაა. ეს ნაბიჯი აუცილებელია რიგი მიზეზის გამო:

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, ისეთი, როგორც საქართველოა, ნელა ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, პრივატიზებულია საწარმოთა უმრავლესობა, რომლებიც თავიანთი პირვანდელი დანიშნულებით აღარ ფუნქციონირებენ, მაღალია უმუშევრობის დონე, დაბალია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი და შესაბამისად შრომის ანაზღაურება, რაც განაპირობებს მოსახლეობის დანაზოგების სიმცირეს და ქვეყანაში მწირ ადგილობრივი

კაპიტალდაბანდების შესაძლებლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთი დარგი რეკონსტრუქციას და მოდერნიზაციას, ზოგიც მთლიანად განახლებას საჭიროებს, რაც მსხვილი კაპიტალდაბანდებების მოზიდვის აუცილებლობას იწვევს. ამავე დროს, დღეს მიმდინარე კაპიტალის მოძრაობის საერთაშორისო პროცესი მჭიდრო კავშირშია მოწინავე ტექნოლოგიების, სხვადასხვა დარგში მეცნიერული მიღწევების გავრცელებასა და დანერგვასთან, რაც, გარკვეულწილად, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ინვესტიცია არა მხოლოდ კაპიტალის გლობალური დაბანდების წყაროა, არამედ ეკონომიკაში მართვისა და მარკეტინგის მოწინავე მეთოდების დანერგვაცაა, მრეწველობისა და აგრარული სფეროს გამოცოცხლებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ექსპორტის ზრდის კვალობაზე საგარეო ვაჭრობის გაფართოებისა და საბოლოოდ მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ეფექტურად ინტეგრირების საშუალებაა. ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ახლო პერსპექტივაში მსხვილი კაპიტალდაბანდებების გარეშე საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლება, განვითარება და შემდგომი აღორძინება ალბათ გაძნელებულია, არადა მსოფლიოში დღეს მიმდინარე გლობალიზაცია ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნის ამ პროცესში სხვადასხვა საშუალებით ჩართვას. ასეთი საშუალება ინვესტიციებია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულად უნდა იქცეს და საქართველომ, განვითარებული ეკონომიკით, მყარი ადგილი უნდა დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში და მტკიცედ ჩაერთოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ინვესტიციების მოზიდვის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საინვესტიციო კლიმატს, რომელიც დიდი შინაარსობრივი ტევადობისაა. იგი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობების ერთობლიობაა, რომელიც ხელსაყრელია საინვესტიციო პროცესისათვის. ესაა სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული ქვეყნისათვის. მასში თავს იყრის ყველაფერი, რასაც ინვესტორი იღებს მხედველობაში, როცა აფასებს, თუ რამდენად კეთილსასურველი ან არაკეთილსასურველი პირობებია ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალის დასაბანდებლად. ინვესტორს აინტერესებს ამ ქვეყნის კულტურა, ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა, სტაბილურობა. სიტუაციის ანალიზის დროს ინვესტორი შეისწავლის ერთმანეთისგან განსხვავებულ ამ პარამეტრებს საერთო განზომილებაში, რომელიც მოიცავს და გამოხატავს საინვესტიციო რისკის მაჩვენებელს. რაც უფრო ცუდი საინვესტიციო კლიმატია ქვეყანაში, მით უფრო აფასებს თავისი საქმიანობის რისკს ინვესტორი [2].

საინვესტიციო კლიმატის შინაარსი რთული და კომპლექსურია, ამიტომ შეიძლება მისი განხილვა სხვადასხვა დონეზე: მაკროდონეზე განხილვის დროს ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში არსებული რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციები, აგრეთვე სოციალური კლიმატი, ამასთან, გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი პარამეტრები, როგორცაა: სახელმწიფო პოლიტიკა საზღვარგარეთულ ინვესტიციებთან დამოკიდებულებაში, საერთაშორისო შეთანხმებათა დაცვის ტრადიცია, საზღვარგარეთული ქვეყნების ქონების ნაციონალიზაციისაკენ სწრაფვა, მყარი სახელმწიფო ინსტიტუტები, პრაგმატიზმი ეკონომიკურ პოლიტიკაში. ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ხარისხი და სხვა.

მაკროდონეზე საინვესტიციო კლიმატი მუდამდებია ორმხრივ ურთიერთობაში ინვესტორ ფირმებსა და სახელმწიფოს კონკრეტულ ორგანოებს, სამეურნეო სუბიექტებს შორის, მიმწოდებელს, მყიდველს, ბანკებსა და აგრეთვე ინვესტიციების მიმღები ქვეყნის შრომით კოდექტივებს შორის. ამ დონეზე ხდება საინვესტიციო კლიმატის განზოგადებული შეფასების კონკრეტიზაცია ქვეყნის რეალური ეკონომიკური, იურიდიული და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის შესაბამისად.

კაპიტალის მიღების სისტემის ოპტიმალური ძიების პროცესი მიმდინარეობს როგორც ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ეს სისტემა თავისი ელემენტების გავლენით კლასიფიცირდება ორი მიმართულებით: პირველი (დადებითი), რომელსაც მიეკუთვნება საგადასახადო და საბაჟო შეღავათები უცხოურ კაპიტალზე, კეთილსასურველი პირობები მოგების გატანისათვის, გარანტიები ქონების ჩამორთმევის წინააღმდეგ, რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურა, თავისუფალი ზონების შექმნა და ა.შ. მეორეს (უარყოფითი) მიეკუთვნება უცხოურ კაპიტალზე საექსპორტო კვოტების აუცილებელი დადგენა, ფასებზე კონტროლი, შიდასავაჭრო ოპერაციების ლიცენზირება და სხვა.

ინვესტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაში ბაზრის სიდიდესა და ტევადობას. ეს მაჩვენებელი, სხვა მახასიათებელთან ერთად, ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს, როდესაც იგი თავისი საქმიანობისათვის ამა თუ იმ რეგიონს ირჩევს და ქმნის თავის საწარმოს ან სხვა სახით აბანდებს კაპიტალს. ამასთან, ინვესტორი სწავლობს და აანალიზებს ამ ქვეყნის ან რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას, თავისი საქმიანობისათვის სასურველ სახელმწიფო რეგულირების აპარატსა და საკანონმდებლო აქტებისა და კანონების მთელ სპექტრს. ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური, სოციალური და კრიმინოგენული სიტუაციების სტაბილურობა სტიმულს აძლევს ინვესტორს, მონაწილეობა მიიღოს ახალი საწარმოების შექმნაში. აწარმოოს პროდუქცია და გაიტანოს ბაზარზე. ამდენად, ინვესტორის საბოლოო მიზანია რეგიონში ბაზრის განვითარების შესაძლებლობა [3].

ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორი, საგადასახადო შეღავათებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორი გარემოა შექმნილი ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისათვის. კერძოდ, არსებობს თუ არა კეთილსასურველი პირობები ამ პროცესის გააქტიურებისათვის; არის თუ არა ეს სიტუაცია სტაბილური და ხომ არ იცვლება მოკლე პერიოდის განმავლობაში ერთმანეთის გამომრიცხავი კანონებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით; აგრეთვე, არის თუ არა სახელმწიფოს მიერ დაცული ინვესტიციები და აქვს თუ არა ინვესტორს მყარი გარანტია საქმიანობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალი ქვეყანა, მიღწეული შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული პროცესის მიმართ ქვეყნებს ორი ტაქტიკური მიდგომა აქვთ – რიგი ქვეყნები უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობას შეღავათების მინიჭების გზით ცდილობენ (მაგ., გადასახადებიდან გათავისუფლება, რიგი პრივილიგიები და სოციალური უფლებები), – სხვა ქვეყნები კი ისეთი ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო კლიმატის შექმნას ცდილობენ, რომლებიც ხელსაყრელი აღმოჩნდება როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციებისათვის.

ჯანსაღი საინვესტიციო პოლიტიკა საბაზრო ურთიერთობის აუცილებელი ატრიბუტია. იგი დღის წესრიგში აყენებს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის თანაბარი ხელშეწყობი პირობების შექმნის აუცილებლობას, რისთვისაც კარგი ფონი უნდა შექმნას ყოველმხრივ დასაბუთებულმა საკანონმდებლო აქტებმა. საინვესტიციო პოლიტიკის გატარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს: შრომითი, ნედლეულ-რესურსული, ინოვაციური, საწარმო-საფინანსო, სამომხმარებლო, ინფრასტრუქტურული და სხვა შესაძლებლობები.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარება ისეთ სექტორებში, როგორცაა ენერგეტიკა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების წარმოება და სხვა. საქართველომ, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების – სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: ჰონ-კონგი, სამხ-

რეთ კორუპცია, სინგაპური, ტაივანი – მსგავსად, ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენებით, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გაატაროს. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნების წარმატებების საფუძველი ძლიერი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა იყო, რომელიც სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფას გულისხმობდა. ამასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სხვა აუცილებელ ფაქტორებსაც, როგორცაა: განათლება, სოციალური პოლიტიკა, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და სხვა.

საინვესტიციო საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგი ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გადიდებაა, არ არის დაზღვეული რისკისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსური დანაკარგების წარმოქმნის ალბათობაა და საბოლოოდ, ინვესტორისათვის საინვესტიციო საქმიანობის პირობების გაურკვევლობის შედეგად, კაპიტალის შემცირების ან შემოსავლის და მოგების დაკარგვის საფრთხეს შეიცავს.

საინვესტიციო საქმიანობას შეიძლება დაემუქროს სოციალურ-პოლიტიკური, ეკოლოგიური, სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებებთან დაკავშირებული კონიუნქტურული, ინფლაციური და სხვა სახის რისკი. ეს ის რისკებია, რომლებიც ერთნაირია საინვესტიციო საქმიანობის ყველა მონაწილისა და ინვესტირების ყველა ფორმისათვის, რომლებზედაც ინვესტორს არ შეუძლია გავლენის მოხდენა ინვესტირების ობიექტის შერჩევის დროს. ამავე დროს, ამ სახის რისკები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ინვესტორებისთვის, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ინვესტირების ყველა ფორმისა და სუბიექტის მიერ.

ცხრილი

**2004-2009 წლებში ინვესტიციების შემოდინება საქართველოში**  
(მლნ აშშ დოლარი)

2004	2005	2006	2007	2008	2009
499.1	449.8	1190.4	2014.8	1564.3	I კვარტალი 124.7
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან					
	243.7	407.1	1132.7	476.6	81.6

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა (რუსეთ-საქართველოს ომი) მნიშვნელოვნად შეამცირა ინვესტიციების შემოსვლა საქართველოში.

საქართველოში 2009 წლის II კვარტალში მხოლოდ 92,179 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 6,5-ჯერ არის შემცირებული. უძრავი ქონების სექტორის ბაზრის წილი მთლიან ინვესტიციებში 62,6%-ია და 57,75 მლნ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე საბანკო სექტორია 24,57 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით. I კვარტალში საბანკო სექტორიდან ინვესტიციების გადინება შეინიშნებოდა და ეს მაჩვენებელი 5,527 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. მესამე ადგილი, 3,649 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით, მშენებლობას უკავია. სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ 413,3 ათასი აშშ დოლარია. წინა წელს კი 10,938 მლნ აშშ დოლარს აღემატებოდა. მეორე კვარტალში შემოსული ინვესტიციის 79,8% არაბეთის გაერთიანებულ საემირატებზე მოდის.

ქვეყანაში პოლიტიკური და სამხედრო არასტაბილურობა ნებისმიერ შემთხვევაში ბიზნესის წარმატებით განხორციელების ხელის შემშლელი ფაქტორია და, ბუნებრივია, ასეთ პირობებში ინვესტორს ნაკლებად უნდებია სურვილი, ფული დააბანდოს ისეთ ქვეყანაში, სადაც ასეთი სიტუაციაა და მაღალია კაპიტალის დაკარგვის რისკი.

დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ საშუალებად, ადგილობრივთან ერთად, უცხოური ინვესტიციები გვესახება. ვფიქრობთ, ახლო პერსპექტივაში კიდევ უფრო უნდა გაააქტიურონ თანამშრომლობა და ერთობლივი საქმიანობა კონსორციუმებმა, საინვესტიციო ფონდებმა, ბანკებმა, თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ქვეყანაში ინვესტიციების დასაბანდებლად.

ქვეყანაში აუცილებელია არა მარტო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, არამედ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მთლიან სტრატეგიაში უფრო კონკრეტულად განისაზღვროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის რომელ დარგსა და რომელ რეგიონშია ყველაზე მეტად საჭირო. ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობების გააქტიურების მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია მსოფლიო არენაზე საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება, ეფექტიანი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ინვესტორთა მომსახურების ამადლება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე. ეკონომიკური განვითარება. “მერიდიანი”, თბილისი, 2006.
2. ლ. დათუნაშვილი. საინვესტიციო კლიმატი საქართველოში. წიგნში: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი „მეცნიერება“, 2000, ტ. I.
3. ლ. დათუნაშვილი. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო – ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი. წიგნში „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
4. ლ. ქოქიაური, ნ. ბებიაშვილი. საინვესტიციო პოპექტები, თეორია, ანალიზი, მართვა. თბილისი, 2009.

*Lina Datunashvili*

*Junior Scientific Worker of P. Gugushvili Institute of Economics*

## FOREIGN INVESTMENTS IN GEORGIA UNDER GLOBALIZATION

### Summary

The article analyzes the possibilities of swift growth and development of national economy with the help of local and foreign investments. With this regard the article discusses the role of investments under globalization conditions directed at the revival of national economy. The article emphasizes the reasons which stipulated the necessity of investment attraction, for the country with transitional economy such as Georgia. In addition there is characterized investment climate and its role on macro and micro levels.

**ზისკალური პოლიტიკა**

*თინათინ ქურდაძე*  
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

**ბიუჯეტის საბაღასახალო და არასაბაღასახალო შემოსავლების  
ოპტიმიზაცია საქართველოში**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი უახლოეს წარსულში ხასიათდებოდა შემოსავლების უკმარისობით. ეს განპირობებული იყო ქვეყანაში გაზრდილი „ჩრდილოვანი ეკონომიკით“, რომელსაც სტატიისტიკოსები „დაუკვირვებელ ეკონომიკას“ უწოდებენ და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. საერთოდ, სახელმწიფო ეროვნული შემოსავლის და ეროვნული სიმდიდრის რაც უფრო დიდ ნაწილს ითვისებს, მით უფრო მეტად თანაბრად არის განაწილებული და გადანაწილებული ათვისებული შემოსავალი და სიმდიდრე. საქართველოში არათანაბარი იყო ეროვნული შემოსავლებისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილების მაჩვენებლები და ქვეყანაში „სამართლიანობის“ პრინციპი ფაქტობრივად არ მოქმედებდა.

საგადასახალო შემოსავლების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი სტრუქტურული მაჩვენებლების შემცირება დაკავშირებული იყო პრობლემებთან, რომელიც, თავის მხრივ, საგადასახალო ადმინისტრირებისა და საგადასახალო კანონმდებლობის პრობლემებს უკავშირდება. ეს პრობლემა თითქმის ყველა ქვეყანაში დგას, მაგრამ საქართველოში კორუფციამ, საგადასახალო ვალდებულებებისადმი განსხვავებული პასუხისმგებლობის არსებობამ, გადასახადების ამკრეფთა არაკომპეტენტურობამ თავიანთ საქმიანობაში, საგადასახალო კანონმდებლობის არასრულყოფილებამ და არახელსაყრელმა საინვესტიციო გარემომ მდგომარეობა ამ მხრივ უფრო გაამძაფრა და ქვეყანა უმძიმესი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის წინაშე დააყენა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახალო შემოსავლების დაბალი მაჩვენებლები პირველ ყოვლისა განპირობებული იყო კორუფციით. კორუფციამ საქართველოში მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. სახელმწიფო უნდა ებრძოდეს კორუფციის ნებისმიერი სახით გამოვლინებას, აღმოფხვრას მისი გამომწვევი მიზეზები, რაც რთული და მრავალასპექტიანი პრობლემაა, რომლის გადაჭრაც განსხვავებულ მიდგომასა და კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვს. ახლაც აქტიურად გრძელდება პრევენციული ღონისძიებები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რითაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოება აუცლებლად უნდა დაადგეს იმ გზას და ცხოვრების წესს, რასაც ჰქვია “კანონი”, იმიტომ რომ, კანონის ენის გარდა სხვა ენა არ არსებობს ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოში საგადასახალო ვალდებულებებისადმი პასუხისმგებლობის მხრივ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული თანასწორობა. ხშირად მეწარმეთა ერთი ნაწილი იბევრება სრულად, მეორე ნაწილი კი – არასრულად, რამაც თავიანთი ვალდებულებებისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება წარმოშვა. ამდენად, საგადასახალო სისტემის სრულყოფილების წინაპირობა უნდა იყოს თანასწორობა არა მარტო კონკრეტული გადასახადის, არამედ გადამხდელთა ინტერესების თვალსაზრისითაც. თანასწორობა მეტ-ნაკლებად დარღვეულია საშემოსავლო გადასახადის კუთხით იმიტომ, რომ დაბევრის წყაროს შეადგენს შემოსავლები, რომელსაც იღებს აქტიური სამუშაო ძალა. გასულ პერიოდში საშემოსავლო გადასახადმა მოიმატა 12%-დან 25%-მდე და შემდეგ შემცირდა 20%-მდე, თუმცა ტვირთი მძიმეა. ბიბლიიდან ძველ აღთქმას თუ გადაავლებთ თვალს, აბრაამი დმერთს სწირავდა თავისი მონაგების მეათედს, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ 10%-ს. ასე რომ, დღესდღეობით ეს იქნება იდეალური განაკვეთი, რითაც ჩვენ წინაპ-



რების მაგალითის გამოვიყენებთ სახელმძღვანელოდ ამ მეტად მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზების პრობლემა დაკავშირებულია აგრეთვე გადასახადების ამკრეფთა დაბალ საშემსრულებლო დისციპლინასთან, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აგენტი თვითონ უბიძგებს, დამალოს შემოსავლები და შევიდეს მასთან გარიგებაში. ამას თან ერთვის გადასახადის ამკრეფის არაკომპეტენტურობა, ვინაიდან იგი ვერ ერკვევა სრულყოფილად საგადასახადო კანონმდებლობაში. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო ინსპექტორის შრომის ანაზღაურებას. ხელფასი უნდა იყოს იმ ოდენობის, რომ პირველადი მოთხოვნილებები და საჭიროებები მაინც დაკმაყოფილდეს.

გადასახადების მობილიზაციის მაჩვენებელთა გაუმჯობესება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გადამხდელთა საქმიანობის ზუსტად აღრიცხვასა და კონტროლზე. შერჩევითი გამოკვლევები მოწმობს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა უმრავლესობაში ადგილი აქვს შემოსავლების გადამალვის ფაქტებს. ეს აისახება საგადასახადო შემოსავლების შემცირებაში, რითაც ბიუჯეტში ჩნდება მნიშვნელოვანი დანაკარგები. ხელისუფლებამ, მკაცრი კონტროლის მიზნით, დააუკლებულა მეწარმეები, შეეძინათ საღარო-აპარატები და ისე ეწარმოებინათ საღაროს ოპერაციები. საღარო-აპარატით მეწარმეს არ შესწევს უნარი შიდა თაღლითობისათვის. ასევე მკაცრი სანქციები დააწესა იმათთვის, ვინც არღვევს საღარო-მეურნეობას. ამან გამოიწვია გარე მოვაჭრეების პროტესტი, ამიტომ ხელისუფლება იძულებულია, 1 წლით გადაუვადოს მათ ეს პროცესი. სახელმწიფო ამით არ შემოიფარგლება, და, იმედია, გააგრძელებს იმ მზარდ ტენდენციებს, რომლის ვექტორიც მიმართული იქნება კონტროლის გაუმჯობესებისაკენ.

დღეისათვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 20%. ხელისუფლება უნდა ცდილობდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირების გზით პირდაპირი გადასახადების გაზრდას. ეს თეორიული პროცესია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ისეთ დაბალ საგადასახადო კულტურას, როგორც საქართველოშია, გადასახადის გადამხდელი აკეთებს ყველაფერს, რომ მაქსიმალურად არ გამოააშკაროს თავისი საქმიანობა და ამით აიცილოს თავიდან დაკისრებული გადასახადის გადახდა. თუმცა გადასახადის გადახდის სავალდებულოობა არის ძირითადი პრინციპი, რომელსაც იცავს საგადასახადო კანონმდებლობა. ეს გამოიხატება იმით, რომ საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი არის მინიმალური ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში (საშუალოდ 13%-ის ოდენობით). ანალოგიური სურათია მოგების გადასახადის მხრივ, რომლის სახით მიღებული შემოსავლები ბიუჯეტში დაახლოებით 8%-ს შეადგენს.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, იგი, ვიცით რომ შემცირდა 20-დან 18%-მდე. სახელმწიფო ბიუჯეტი ძირითადად ფორმირდება არაპირდაპირი გადასახადებით, რომელთა შორის უპირატესობა უკავია დღგ-ს. მისი შემცირებული განაკვეთი აუცილებლად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში და დიდ დანაკარგებს მოიტანს. ამ გადასახადის შემცირება თეორიულად არანაირ დადებით ტენდენციას არ მოიტანს. თუ ჩვენ მოვიშველიებთ მშპ-ის კომპონენტებს, ყველაზე დიდი მაჩვენებლით გამოირჩევა სამომხმარებლო შესყიდვა, ანუ დამატებული ღირებულების გადასახადს მომხმარებელი გადაიხდის ნებისმიერ პირობებში. საგადასახადო კანონმდებლობაში დღგ-ის გადამხდელად ითვლება საქონლის მიმწოდებელი, თუმცა ამ გადასახადს თავის მხრივ აკისრებს მომხმარებელს, რითაც ეს უკანასკნელი ხდება რეალური გადამხდელი.

გაიზარდა აგრეთვე საგადასახადო განაკვეთები აქციზურ საქონელზე, ამის კონკრეტული მაგალითია სამამულო და უცხოური წარმოების სივარტებზე აქციზების ოდენობის გათანაბრების პროცესი. ზოგიერთი ამაში უარყოფით გამოვლინებებს ხედავს, ბუნებრივია, ამის შესაბამისად გაიზარდა აქციზური საქონლის ფასი. მაგრამ, რეალურად, ეს დადებითი ტენდენციაა, რასაც ორი დადებითი მხარე აქვს:

- თუ მომხმარებელი შეიძენს აქციზურ საქონელს მაღალი ფასის პირობებში (ეს ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფასი აქციზურ საქონელს მოემატა მხოლოდ აქციზის ხარჯზე, განსაკუთრებით ისეთ არასასარგებლო პროდუქტზე, როგორცაა თამბაქო), მაშინ ბიუჯეტს შევსების რეალური შანსები ექნება;

- თუ მომხმარებელი არ შეიძენს გაძვირებულ აქციზურ საქონელს, მაშინ მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ დაემუქრება, რაც მისი სიცოცხლის ხანგრძლივობისა და დღეგრძელობის საწინდარია.

რა თქმა უნდა, ეს კარგი მიმართულებაა, თუმცა მეტი სრულყოფილებით სავსე საჭიროა მეტი სიფრთხილის გამოჩენა. ხელისუფლება ამ რეფორმით არ შემოიფარგლება და კვლავაც აგრძელებს მუშაობას ამ საკითხის გარშემო. არ შეიძლება საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა ფისკალური მიდგომით, ანუ სხვა ქვეყნის გამოცდილების გადმოტანა ეროვნულ ინტერესთა და თავისებურებათა გათვალისწინებლად. გადასახადების გადახდა მეწარმეს არ უნდა უჯდებოდეს იმდენი, რომ დარჩენილი წმინდა მოგება ვერ მოახმაროს წარმოების შემდგომ კაპიტალიზაციასა და დივერსიფიკაციას. უმჯობესია, საგადასახადო განაკვეთები იყოს მცირე და გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა მეტი, ვიდრე მაღალი საგადასახადო განაკვეთების პირობებში ნაკლები გადამხდელი.

2004 წლის დასაწყისში პრეზიდენტმა საჯაროდ გაათავისუფლა ინდივიდუალური მეწარმეები გადასახადებისაგან. თითქოს ეს კარგი ფაქტია, მაგრამ ამ დადებით ვეფექტს თან ახლავს ნეგატიური გამოძახილი – დაირღვა თანასწორობის პრინციპი და შესაბამისად ბიუჯეტსაც ჰქონდა დანაკარგები შემოსავლების მხრივ. ასე რომ, არსებული საგადასახადო კანონმდებლობა მოითხოვს უფრო საფუძვლიან ცვლილებებს. იგი გადაჭრით ვერ პასუხობს მეწარმეთა და ბიზნესმენტთა ინტერესებს. საჭიროა, საგადასახადო სისტემა ევრდნობოდეს იმგვარ მექანიზმებს, რომელიც ხელს შეუწყობს მიკროეკონომიკის განვითარებას, მეწარმეობისა და ბიზნესის რეგულირებას, რათა ქვეყანაში არა მარტო მომგებიანობით განისაზღვროს გადასახადების გადამხდელთა გადახდისუნარიანობა, არამედ ბიუჯეტს ჰქონდეს დამატებითი შემოსავლების წყაროები და სტიმული მიეცეს ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს ის ახალი ეკონომიკური აქტი, რომელიც პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, მაგრამ, ერთია მიზანი, მეორე, მიღებული შედეგი.

როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ გაამარტივა დაბეგვრის რეჟიმი, შეამცირა რა გადასახადების როგორც რაოდენობა, ისე ოდენობაც. ასევე გააუქმა ვითომდა არაეფექტური საგადასახადო შეღავათები. არაეფექტური საგადასახადო შეღავათების გაუქმებას უნდა გაეძლიერებინა სამართლიანი კონკურენცია ბიზნესში, მაგრამ მოხდა პირიქით. ამიტომ, სასურველი იქნება ამ შეღავათების აღდგენა უფრო დახვეწილი და ცივილიზებული ფორმით, როგორც ეს მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში, ჩვენ სომ სწორედ აქეთკენ მივდივართ. ხელისუფლება ჯერ კიდევ 2007 წლისათვის გეგმავენა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. 2008 წლის 1 იანვრიდან მოვარობამ აამოქმედა მნიშვნელოვანი ინიციატივა საგადასახადო განაკვეთების შემდგომი შემცირების მიმართულებით, რაც, პირველ რიგში, ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი დაბეგვრის რეჟიმის შემოღებას ეხება (ნაცვლად მანამდე არსებული 20%-იანი სოციალური და 12%-იანი საშემოსავლო გადასახადისა);

მთავრობა ისევ ცვლის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს 20%-მდე. 2009 წლის 1 დეკემბრიდან ბიზნესმენები თავისუფლდებიან დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ), ხოლო ვისაც გადახდილი აქვს, უკან დაუბრუნდება. ეს პროცესები კვლავაც გადრმაველება და შემდგომშიც გაგრძელდება. ეს ინიციატივა პრეზიდენტიდან წამოვიდა თავისუფალი ეკონომიკური აქტის სახით, რომელიც რეფერენდუმების ჩატარების გზით უნდა დარეგულირდეს. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი შედეგათია ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, რომლებიც დასაქმებულები არიან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების თაობაზე შესაბამისად, მათი ოჯახების შემოსავლების გაზრდის მთავარი წინაპირობაა – რადგან ხელისუფლების მთავარი მიზანია – დაბალი გადასახადების ხარჯზე გადასახადის გადამხდელს, ყოველ რიგით ადამიანს, დაბევრის პირობებში ხელზე ასაღებად დარჩეს უფრო მეტი თანხა, ანუ მათი შემოსავლებიდან (მაგ. ხელფასებიდან) სახელმწიფომ სულ უფრო მცირე თანხა დაბეგროს. ყოველივე ეს კი დასაქმების დონის ამღლების საწინდარია როგორც კერძო სტრუქტურებში, ისე საჯარო სექტორში, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან დაბევრის ასეთი პირობების შემოთავაზების მიზანი ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესის ხელშეწყობაცაა. ცვლილებების ძირითად მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და ინვესტიციების ზრდის ხელის შეწყობა წარმოადგენს.

საგადასახადო შემოსავლების გაუმჯობესებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა, არსებობდეს მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, ინვესტორთათვის მომგებიანი ფისკალური და მონეტარული სისტემა. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების საკითხი უშუალოდ უკავშირდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და კანონმდებლობის დაცვას. მაგალითად, 1995 წლის 30 ივნისს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, მაგრამ ამით არ დაინტერესდნენ უცხოელი ინვესტორები გართულებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კრიმინოგენური სიტუაციის გამო. სამწუხაროდ, ეს კანონი უგულვებლყოფდა ადგილობრივ ინვესტორთა ინტერესებს და საერთოდ, ადგილობრივ ინვესტორთა ინტერესები იგნორირებული იყო უცხოელ ინვესტორებთან შედარებით. მეორე პრობლემა ის იყო, რომ საგადასახადო შედეგათები მიანიჭეს იმ საწარმოებს, რომლებიც მხოლოდ ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. ამ კანონში პრიორიტეტი მინიჭებული ჰქონდა ეროვნულ ინვესტიციებს და ის გახდა უცხოური ინვესტიციების განხორციელების, სტიმულირების, რეგულირებისა და დაცვის განმსაზღვრელი. ამიტომ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, რადგანაც იგი წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის რეალიზაციის საწინდარია.

საქართველოსადმი ინვესტორთა დაინტერესებამ თავი იჩინა პოსტრეკულუციური ტრანსფორმაციის ეტაპზე, თუმცა 2008 წელს დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მძიმე დარტყმა მიიყენა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს. საქართველომ, როგორც ამ ქვეყნების მნიშვნელოვანმა პარტნიორმა, მძიმე დანაკარგები განიცადა. ეს დანაკარგები კი უფრო მეტად გაიზარდა გასული წლის აგვისტოს თვეში არსებული საომარი მდგომარეობის გამო. ცნობილია, რომ საინვესტიციო გარემოს სიჯანსაღე მოითხოვს არა მარტო ეკონომიკურ მდგრადობას, არამედ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს. სწორედ ამ პერიოდში დაიკარგა ნდობის ფაქტორ-

რი ინვესტორთა მხრიდან. განსაკუთრებული დარტყმა მიადგა საკრედიტო ორგანიზაციებს, როგორც ქვეყანაში ყველაზე მდგრად და სტაბილურ საფინანსო ინსტიტუტებს. საკრედიტო დაწესებულებებიდან მოხდა დანაზოგების გადინება და ბანკებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი საკრედიტო და სადეპოზიტო რესურსები. გაძვირდა “იაფი ფული”. აღნიშნული მდგომარეობის რეაბილიტაციისათვის საბანკო დაწესებულებებმა მრავალ თანამშრომელს შეუმცირა შრომის ანაზღაურება და მრავალი გაათავისუფლა კიდევ. თუმცა, საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ინტერესს არ კარგავს და განვითარებული ქვეყნების თვალსაწიერიდან არ ქრება, რისთვისაც იგი ეკონომიკურად ყველაზე მოქნილი გამოდგა საერთაშორისო თანამეგობრობაში გაწევრიანებისათვის პრეტენდენტ ქვეყნებს შორის. ეკონომიკურ ექსპერტთა ბოლო შეფასებებით, საქართველო ახლა იმყოფება განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც იყო აგვისტოს მოვლენების წინ. ამრიგად, რომ არ ყოფილიყო ეს მძიმე ტრაგედია, საქართველო უფრო ადვილად გადაიტანდა ამ კრიზისულ მდგომარეობას. თუ, მაგალითად, ამერიკა ან ევროპის რომელიმე განვითარებული ქვეყანა საკუთარი ეკონომიკური განვითარების დონის საზომად იყენებს პერიოდს “2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინ” და “შემდგომ”, საქართველოსათვის ეს არის პერიოდი “2008 წლის აგვისტოს ომის წინ” და “შემდგომ”.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კონტროლის ეფექტური სისტემის დანერგვა, რითაც მოხდება გადასახადების არაკეთილსინდისიერი გადამხდელების იდენტიფიკაცია. ეს ადამიანები არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან არა მარტო სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესებს, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებს, რომელშიც შედის ეროვნული, სოციალური და სულიერი ინტერესები. ზარალდება საზოგადოების უამრავი წევრი, რომელთა სოციალურ უსაფრთხოებას ბზარი უზნდება, რაც დიდ ნაპრადად იქცევა ზოგიერთისათვის. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ უნდა აამოქმედოს თავისი ადმინისტრაციული ბერკეტები და მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინოს ყოველ არაკეთილსინდისიერ გამოვლინებასა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაზე. უნდა დაწესდეს მაღალი ფინანსური სანქციები იმათთვის, ვინც თავს აარიდებს სახელმწიფო ვალდებულებებს, ნებისმიერ შემთხვევაში ბიუჯეტის შემოსავლები გაიზრდება ასეთი სანქციების ხარჯზე და შესაბამისად დაკმაყოფილება საზოგადოებრივი და სოციალური მოთხოვნილებები. ოღონდ ეს ეფექტი შედეგს გამოიღებს იმ პირობებში, როდესაც საშემოსავლო გადასახადი გახდება მინიმალური და შრომის ანაზღაურება საკმარისი და მსყიდველუნარიანი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა), თბილისი, 2005.
2. გ. გამსახურდია, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბილისი, 1997.
3. თ. გამსახურდია, საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, 2003.
4. ლ. ქოქიაური, ინვესტირების საფუძვლები, თბილისი, 2001.
5. ზ. როგავა, გადასახადები. საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002.
6. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001.

7. საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემების შესახებ“.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
9. И.Ф. Щербина, Т.С. Степановна, Возможности повышения эффективности реализации бюджетной политики Украины путем использования программно-целевого метода бюджетирования. журн. «Бюджет», №1 январь 2007.
10. Мертон, З. Боди, Финансы, М., С.П., К., 2005.
11. В. Д. Фетисов, Т. В. Фетисова, Финансы и Кредит, М., 2006.

*Tinatin Kurdadze*  
*Academic doctor of Economics*

### **THE NECESSITY OF OPTIMIZATION OF TAX AND NONTAX INCOME OF THE BUDGET IN GEORGIA**

#### Summary

For the formation of budget it is necessary to keep balance between tax income. It is ideal for the society when budget is mainly built by nontax income which is a high indicator of purchasing capacity of population. But the improvement of investment environment should be preferential because this should promote the realization and international investment interests. Just this is the source of national income and wealth. Georgian people is very gifty and wise, spiritually and physically healthy. These potentialities should be taken into account and the prerequisite of it must be their employment.

**საერთაშორისო ურთიერთობები**

*რევაზ ღორთქიფანიძე*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი*

**ბანკოტარბული ძველების გავლენა მსოფლიო ბაზარზე**

მსოფლიო ბაზრის სრულყოფილი კონტურების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საფუძვლებია მე-20 საუკუნის კომპიუტერულ-მანქანური წარმოება აშშ-ში (ათასწლეულების მიჯნაზე აქვე ფეხადგმული ინტერნეტის გლობალურ ქსელთან ერთად) და მანქანურ-სამრეწველო რევოლუცია შუა საუკუნეების ევროპაში (დიდი ბრიტანეთი). აღნიშნულმა ერთგვარად დაამარცხა ამერიკის აღმოსავლეთი აფრიკისა და აზიის უძველეს ქვეყნებში წარმოქმნილი ლოკალური ბაზრების დაკავშირების პრობლემა. სწორედ კომპიუტერულ-მანქანური ინდუსტრიაა დღეს მთავარი ფაქტორი მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისა და ადამიანების ცხოვრების პოლარულად დიფერენცირებული დონეების შესაძლო დაახლოებისათვის.

ელემენტარულად, ინტერნეტის გლობალური ქსელით მონიტორინგის (კონტროლის) გარეშე მეტი იყო ალბათობა, რომ ზოგიერთ რეაქციულ მცირე ფოლად-მონარქიულ თუ დიდ იმპერიულ ძალებს, დიქტატორულ სახელმწიფო რეჟიმებსა და მათ მომსახურე ბიზნესელიტას, რომლებსაც დიდი შემოსავლები უგროვდებოდათ, არ შეესმინათ ხალხის, ზოგჯერ, უადვილესი სასიცოცხლო პრობლემები.

სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა ქართულ ბიზნესს დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება ისეთი სახელგანთქმული საერთაშორისო კომპანიების პარტნიორობა, როგორებიცაა კორპორაცია მაიკროსოფტი, ჯენერალ მოტორსი, აი-ბი-ემი, ბოინგი, ფორდ მოტორი, სიმენსი, ტოიოტა და სხვ.

ხსენებული სახელგანთქმული ამერიკული მაიკროსოფტი თითქმის უკვე 3 ათეული წელია გვევლინება კომპიუტერული ტექნოლოგიების პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების მსოფლიო ფლაგმანად და, საერთოდ, ბიზნესის უმდიდრეს კომპანიებს შორის ერთპიროვნულ ლიდერადაც კი, ბოლო წლებში მის წინააღმდეგ აგორებული ანტიმონოპოლიური ბუმიცა და შესაბამისი პრობლემების მიუხედავად. მსოფლიოს ავტომწარმოებლებს შორის კი (საერთო საქონელბრუნვის მაჩვენებლით) ასევე ამერიკული ჯენერალ მოტორსი ლიდერობს, რომელსაც მხოლოდ სხვადასხვა პარამეტრებში ეცილებიან ცნობილი ევროპული და იაპონური კომპანიები.

ტექნიკის სწრაფი განვითარების ეპოქაში აქტუალური და ნიშანდობლივია, რომ “ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცივილიზებული ქვეყნების კულტურული და სამეურნეო-მმართველობითი გამოცდილების გაანალიზებას და საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკაში შესაბამის გავრცელება-დანერგვას” [1. გვ. 543-547].

მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებასა და კულტურულ-სამეურნეო თანამშრომლობის გაფართოებასთან ერთად, კანონზომიერი ხასიათი მიიღო ტექნიკის შემდგომი განსაზოგადოებისა და სახელმწიფოს როლის განუხრელი მატების ეკონომიკურმა პროცესებმაც. მაგრამ, აღნიშნული, ჩემი აზრით, არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოს უსასრულოდ გაძლიერებას კერძო სექტორის დაკნინების ხარჯზე. მე შევიმუშავე ეკონომიკური კონკურენციის ძალის კანონისა და წონასწორული რეალიზების პრინციპულ-მათემატიკური მოდელი [2], რომელიც, დენის ძალის კანონის მსგავსად, განსაზღვრავს ეკონომიკური კონკურენციის ძალის დიდ მნიშვნელობას, რაც შეუთავსებელია სახელმწიფო სექტორის მონო-

პოლიასთან და არამუდმივ, მაგრამ პერიოდულ წონასწორობას გულისხმობს სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის.

ტექნიკური დონის თვალსაზრისითაც კი, რაც არ უნდა განვითარებული იყოს ბაზარი, თუ კონკურენცია არ არის სრულყოფილებასთან მიახლოებული, ეკონომიკური ეფექტიანობის ნაცვლად, შესაძლოა, დიდ დანაკარგებთან გვეპყროს. განსაკუთრებით სავალალოა შედეგი, როცა ბაზარს თავის სასარგებლოდ “ერთმმართველი” აკონტროლებს ან ეკონომიკური სუბიექტების რიცხვი შეზღუდულია და ხსენებულ სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფარულ შეთანხმებაში შევიდნენ.

ჩემი აზრით, საკმაოდ გააზრებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შედეგად, ტექნიკის წამოების ძვირადღირებულ ინდივიდუალურ პროექტებში აშშ-ს ხარისხობრივ პარამეტრებში ბევრი ვერ ეცილება, მასობრივ, ე.წ. “სახალხო” პროდუქციაში კი ჯერ კიდევ მეტად აქტიურობს ევროპული და აღმოსავლური მწარმოებელი, რომელიც ამერიკულ ბაზარზეც ფართოდება. თავად აშშ მრავლად იყენებს მსოფლიო საუკეთესო გამოცდილებას მანქანურ წარმოებაში და ეკონომიკურად უძლიერეს ამ ქვეყანაში ბაზარზე პირველობის ყოველგვარი პოლიტიკური ამბიციის გარეშე იწარმოება ისეთი ცნობილი ევროპული და იაპონური ბრენდების პროდუქცია, როგორებიცაა მერსედესი, ბმვ, ფოლცვაგენი, ტოიოტა და სხვა [3; 4; 5].

საქართველოც, იმედია, უხვად გამოიყენებს ამერიკულ და სრულიად მსოფლიო გამოცდილებას საუკეთესო სამამულო გამოთვლითი მათემატიკისა და საინჟინრო სკოლის პირობებში და გაჩნდება, პირველ ეტაპზე, მოწინავე ამერიკულ და სხვა საზღვარგარეთულ კომპანიებთან ერთობლივი, შემდგომ კი დამოუკიდებელი ქართული კონკურენტუნარიანი კომპიუტერული, საავტომობილო და სხვა მანქანური ტექნიკა-ტექნოლოგიები.

საქართველოს ლტოლვა მაღალგანვითარებული ეკონომიკური კავშირებისკენ, უეჭველად, პროგრესული და ჯანსაღია, რასაც ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ყოველმხრივ დასაბუთებულად უნდა მოიაზრებდეს. საერთოდ, ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველს, ბუნებრივია, თანამედროვე პოლიტიკურ-რელიგიური და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ურთიერთობანი ქმნის. ურთიერთობებში არსებულ წინააღმდეგობათა (განსხვავებთა) იგნორირება შეუძლებელია: ვერც მათ სრულ აღმოფხვრას მოვახერხებთ და არც მათ გამწვავებას უნდა ვეცადოთ. ისინი, თავისთავად, ობიექტურ თუ, ზოგჯერ, სუბიექტურ მიზეზთა გამო, პერიოდულ გამოხატულებას იძენენ.

მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა და მრავალი განსხვავებისა, საქართველოს ეკონომიკის რეფორმირება შეუძლებელია სრულფასოვანი იყოს აშშ-ს, ევროკავშირის ქვეყნებსა და შორეული აღმოსავლეთის “ტექნოკრატებთან” თანამშრომლობის გარეშე. მნიშვნელოვანწილად ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით მზარდი მსოფლიო ბაზრის მასშტაბები, რაც მსხვილი მრავალეროვნული კომპანიების გამრავლების პროცესსა და, საერთო ჯამში, გლობალიზაციის კანონზომიერებაშიც ვლინდება, საქართველოს, გლობალიზაციის სიკეთების მყისიერ გამოყენებასთან ერთად, მრავალი პრობლემის დაძლევა ავალებს, მ.შ. ეკონომიკური პრობლემების სპექტრი ერთ-ერთი უმთავრესია.

რეფორმების თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია აშშ-ს აქტიური გავლენა რეაქციული რეჟიმების დემოკრატიული მართვით რეველუციურ ჩანაცვლებაში, რაც საყოველთაოდაა აღიარებული და დადასტურდა კიდევ ჩვენს პოსტსაბჭოთა სინამდვილეში.

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის რეფორმირების მართვის პროცესში ყოველდღიური ზრუნვის სფეროებს უნდა წარმოადგენდეს:

1) საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზება აშშ-ს, ევროკავშირისა და სხვა ცივილური ქვეყნების ჩვენთვის მისაღებ ნორმებთან, მათი შესრულების კონტროლი;

2) მწარმოებლურობის დონის თანდათანობითი (2015 წლამდე) მიახლოება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან, შრომის ნაყოფიერების სხვადასხვა ინდიკატორების სისტემური და ზუსტი მონიტორინგი;

3) მცირე მეწარმეობის რეალური მხარდაჭერა, შესაბამისად, დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტა და მსხვილი ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო გარემოს არსებითი გაუმჯობესება.

სავარაუდოა, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, აშშ და სხვა განვითარებული ქვეყნები მეტად ითანამშრომლებენ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან საქართველოსთან აღნიშნულ ამოცანათა მაქსიმალურად შესაძლო ოპერატიული გადაწყვეტისათვის. აქამდე, ქვეყანაში კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებისა თუ საომარი მოქმედებების მიუხედავად, დახმარებების სერიები საქართველოსათვის ურთულეს გარდამავალ პერიოდში არ შეწყვეტილა.

მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესზე ხაზგასასმელია აშშ-ს განსაკუთრებული როლი. მართლაც, თავისი არსებობის არცთუ ისე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, აშშ-ს ისტორიული კვალი კაცობრიობის საყოველთაო პროგრესში შთამბეჭდავია. კერძოდ:

1) ქვეყანამ არაერთხელ დაამტკიცა თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეებისადმი ერთგულება, მ.შ. ანტიფაშისტური კოალიციის ორგანიზებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებაში მონაწილეობისას;

2) თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მონეტარიზებული მოდელითა და მინიმალური ჩარევის ფილოსოფიით მიღწეულ იქნა მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე და ერთ-ერთი სამაგალითო პირობები;

3) უდიდესია კოსმოსის ათვისებისა და საერთოდ ტექნიკა-ტექნოლოგიების სრულყოფაში გაწეული წვლილი, რაც სახელმწიფოს გააზრებული ინოვაციური პოლიტიკით კერძო ინიციატივის სტიმულირების შედეგია;

4) მნიშვნელოვანი ფინანსურ-ინტელექტუალური დახმარებებით მრავალ განვითარებად ქვეყანაში იქნა დაძლეული სიღარიბის ურთულესი პრობლემები;

5) ღრმავდება თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კურორტებისა და სპორტის საერთაშორისო პროექტების რეალიზებისათვის, მსოფლიო ბაზრის განვითარების ობიექტურ პროცესში ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისათვის;

6) მიმდინარეობს მუშაობა უსაფრთხოების საყოველთაო თავდაცვითი სისტემის შექმნისათვის, მასობრივი განადგურების იარაღის შემცირებისა და გავრცელების აღკვეთის ეფექტური კონტროლისათვის;

7) სხვადასხვა რეჟიმებით, ტერორიზმითა და სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ ქვეყნებს საჭირო თანადგომა გაეწევა.

საქართველოს ხელისუფლების მხრივ, აშშ-თან და მაღალი ტექნიკური დონის სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მეტი ეფექტიანობისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1) ეკონომიკური პროექტების შემუშავებისა და რეალიზებისას მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ადგილობრივი სპეციფიკა. შემოთავაზებული წინადადებების „ბრმად“ გაზიარება არც შემომთავაზებელი მხარის ინტერესებში შედის – პროექტის სპონსორი ხომ სრულყოფილად ვერ ერკვევა ჩვენი ეკონომიკისათვის სახასიათო ნიუანსებში, რის გამოც შესაძლებელია საბოლოო შედეგმა იზარალოს;

2) ზუსტად (ყოველმხრივ დასაბუთებულად) განისაზღვროს თანამშრომლობის პრიორიტეტები. მხოლოდ მომგებიანობის კრიტერიუმით შეფასებამ შე-



საძლებელია, სტრატეგიაში სერიოზული ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ეკონომიკის სტრუქტურულ სიმწიფეს.

3) ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ აგორებული უადრესად საჭირო საყოველთაო პოლიტიკა შემდგომაც უნდა გაძლიერდეს მისი გამოვლენისა და მინიმუმების მექანიზმების სრულყოფის საფუძველზე, რითაც მსხვილი ამერიკელი ინვესტორების მეტ ნდობასაც დავიმსახურებთ და ჩვენთან ეკონომიკურ თანამშრომლობასაც მეტ მიმზიდველობას მივანიჭებთ.

ჩემი აზრით, ეკონომიკის მიმზიდველობისა და ზომიერი ლიბერალიზების საქმეშიც თვალსაჩინოდ სამაგალითო ქვეყანაა აშშ. საგადასახადო პოლიტიკის უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ გადასახადების დიდი განაკვეთები განსაკუთრებით ამახინჯებს შრომისა და დაზოგვის სტიმულებს [6. გვ. 341, 739]. აშშ მაქსიმალურად იყენებს საგადასახადო შედეგათების შესაძლებლობას საერთაშორისო ვაჭრობაში. აღსანიშნავია, რომ მის პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმში მოქცეული საქონელი ხშირ შემთხვევაში მთლიანად თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, რაც, ამ ქვეყნის საბაჟო-სატარიფო განაკვეთების გათვალისწინებით, საკმაოდ ძლიერი შედეგია. ახალი სექტორის მიხედვით, ძალზე გაფართოვდა პრეფერენციებით მოცული საქონლის ჩამონათვალი. აღნიშნული საქონლის ნომენკლატურა განსაკუთრებით გაიზარდა საპარის უდაბნოს რაიონში მდებარე ყველაზე დაბალგანვითარებული აფრიკული ქვეყნებისათვის [7. გვ. 11]. ე.ი. ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან და, საერთოდ, მსოფლიო ბაზართან თანამშრომლობის შესაძლო იდეალური (სასურველი) ვარიანტი, აუცილებელია, შორეულ სტრატეგიაშიც მოვიზიაროთ:

1) თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების სივრცის გაფართოების კვალბაზე, გათანაბრდება ცხოვრების დონე, სიღარიბის დაძლევაზე ქვეყნები ერთობლივად იფიქრებენ;

2) უმუშევრობა დროებითი სენი იქნება ნებისმიერი მოქალაქისათვის – საერთო ძალისხმევით მისი მოგვარება რამდენიმე კვირაში (მაქსიმუმ თვეში) მოხერხდება;

3) გაერთიანებული ძალისხმევით იწარმოებს სახელმწიფოებრივი ბრძოლა სხვადასხვა კრიმინალურ გამოვლინებათა (ტერორიზმი, ნარკომაფია, პროსტიტუცია, ქურდობა თუ სხვა) წინააღმდეგ.

იდეალური ვარიანტის სრული უზრუნველყოფის შესაძლებლობა და ვადების დაზუსტება მომავლის პერსპექტივაა. ჩვენი მხრივ, აშშ-თან, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ სხვა ქვეყნებთან ერთად, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ვიმოქმედოთ ხსენებული და სხვა აქტუალური მიმართულებებით.

როგორც ამერიკელი მართლმადიდებელი დიაკვანი დევიდ ჯეიმსი მართებულად ქადაგებს, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ „ძირეულ ცხოვრებისეულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემა მხოლოდ ეკლესიას ძალუძს. ეს, რა თქმა უნდა, ფულთან, ქონებასთან და მის მოხმარებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც ეხება“ [8. გვ. 5]. ამასთან, ხაზგასასმელია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვები: ”გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურები, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა. ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც, შესაძლოა, მტრობასა და შეუღლებადობას გამოიწვიოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით ამდიდრებს მსოფლიოს... ცივილიზაციათა შორის დიალოგი აუცილებელია და საქართველოც აქტიურად უჭერს მხარს მას“ [9. გვ. 55].

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. შიხაშვილი გიორგი, შიხაშვილი მამუკა, ქართული ამერიკისმცოდნეობის ეკონომიკური ასპექტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკის შესწავლის საკითხები, V, თბილისი, 2008.
2. ლორთქიფანიძე რევაზ, ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. თბილისი, 2005.
3. PSQ, The Journal of Public and International Affairs, NY, 2008-2009.
4. Мировая Экономика. Москва, ЮНИТИ, 1998.
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სტატისტიკური კრებულები, ენციკლოპედიები და საინფორმაციო-ანალიტიკური საიტები (<http://www.gm.com>, <http://ms.com>, <http://www.gatesfoundation.org>, <http://www.boeing.com>, <http://www.ibm.com/us/en>, UTX agreed to acquire General Electric Co.'s (GE) electronic security systems and fire safety operations for \$1.82 billion).
6. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, დიოგენე, 2000.
7. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა GSP. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და სამართლის ცენტრი, 2000.
8. ჯემსი დევიდ, გულუხვობის შესახებ (ქრისტიანი და ფული). თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი, 2003.
9. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების შესახებ (შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი). თბილისი, გეოკერია, 2004.

**Revez Lordkipanidze**

*Doctor of Economics, Member of the APS (NY, USA)*

**THE INFLUENCE OF DEVELOPED COUNTRIES ON WORLD MARKET**

**Summary**

Discovery of the America, the computers and machines of The USA and UK are significant base of creation of World market. The USA Internet concludes this significant process. The technique and technology developments are the basis of the production generalization. They stimulate (with Internet) and will stimulate economic development and living level in Europe and all Nations.

Without Global Internet Control, some hellish tyrant kings of empires and small countries, state dictators and their servile business had big incomes, but they did not want to see easy problems of people.

We hope, that Great American International Companies (Microsoft Corporation, IBM, Boeing, General Motors and Ford Motor...) will be partners of young Georgian business.

The historical merit of The United States of America in the common progress are:

1) the true for the ideas of the freedom and democracy, the very active participation in the creation of the UN and antiterror coalition;

2) the achievement of the high living standards through monetary free market model;

3) the financial – intellectual supports of the poor developing countries.

The contemporaneous anticorruption reforms in the Georgia economy and their precise engaging methods are necessary for the reinforcement American state and private investments.

For practice of optimal stimulation Intermoney system and Macroeconomic structure marginal efficiency, I define The Force of economic competition approximately as The Force of electrical current. The less are output of monopoly and excess (disquality or needless) production, the more is the force of competition. My conception of Real equilibrium also intends objective nonmonopoly equilibrium among state and private parts of the free market.

**საბაზრო ინფრასტრუქტურა**

*გიგა მისურაძე*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

**ბირჟა – სტაბილური ეკონომიკის არსებობის გარანტი**

ბირჟა ბაზრის ორგანიზებული ფორმაა, სადაც საქონლით საბითუმო ვაჭრობა იმის მიხედვით ხდება, თუ რა სახეობის საქონელი მიმოიქცევა ბირჟაზე. გვაქვს სასაქონლო, საფონდო, სავალუტო, შრომის ბირჟები. ბირჟის წარმოშობას წინ უძღოდა დიდი ბაზრობები, რომლებიც რეგულარულად იმართებოდა სავაჭრო გზების შესაყარზე, მოხერხებულ გეოგრაფიულ ადგილას. ბირჟების გარკვეული ფორმები XII საუკუნიდან ჩნდება, საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც 1540 წელს ლიონის ბირჟა შეიქმნა, თუმცა თანამედროვე ტიპის ბირჟების დაარსება XVIII საუკუნიდან იწყება. ბირჟა ბროკერების, დილერების და ტრეიდერების საქმიანობის ადგილია.

Wall Street-ად წოდებული ნიუ-იორკის ბირჟა ე.წ. Yourk Street Exchange, მნიშვნელობით თუ არა, თავისი მასშტაბებით მსოფლიოში ნომერ პირველი ბირჟაა. იგი 1792 წელს დაფუძნდა, როდესაც კედლის ქუჩის 68-70 ნომერში დიდი ჭადრის ქვეშ შეკრებილმა 24 მაკლერმა (ბროკერმა) ყველანაირი ფასიანი ქაღალდის გაყიდვაზე საკომისიო პროცენტის დამატების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეს ფაქტი კი უკვე ნიშნავდა ფასიანი ქაღალდების პირველი სავაჭრო მოედნის შექმნას. 1817 წლის 8 მარტს ორგანიზაციის ქარტია ოფიციალურად შეადგინეს, რომლითაც ნიუ-იორკის ბირჟას ე.წ. Yourk Stock Exchange ეწოდა. ბირჟის პირველი პრეზიდენტი ანტონი სტოკპოლმი გახდა. მსოფლიოს პირველ ფინანსურ ადგილად წოდებულ Wall Street-ის, არსებობის მანძილზე, წარმატებებთან ერთად, მძიმე პერიოდიც არაერთხელ დასდგომია, კერძოდ – 1929 წ. 24 ოქტომბერი – „შავი ხუთშაბათი“ – ნიუ-იორკის ბირჟა გაკოტრდა! და რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, 1987 წ., კვლავ ოქტომბრის თვეში, „ღოუ ჯონსის“ ინდექსმა 22,6%-ით დაიწია, რამაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე დიდ კრახი გამოიწვია.

ტოკიოს ბირჟა Tokyo Stock Exchange მსოფლიოში მნიშვნელოვანი აქციების რიგით მეორე ბაზარია, Kabutoko-ოდ (უბნის სახელი, სადაც ბირჟა განთავსებული) წოდებულ ბირჟაზე 2371 კომპანია ფიგურირებს. იგი 1878 წ. 15 მაისს დაფუძნდა. 1999 წლიდან მოყოლებული, ტოკიოს ბირჟაზე ყველანაირი გაცვლა ელექტრონული ფორმით ხდება, თუმცა ტრანსაქციების მართვა მხოლოდ ინფორმატიკული სისტემით იმდენად რთულია, რომ ზოგჯერ ბირჟის ხელმძღვანელობა იძულებულია, ტრანსაქციები შეაჩეროს, რის გამოც ბირჟა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი და მართვის სუსტ სისტემაში მხილებული. ტოკიოს ბირჟა თავის ინდექს Nikkei-სთან ასოცირდება. ინდექსი 1949 წ. გაჩნდა. მისი მიზანი თავიდანვე იაპონური ბაზრის საბირჟო რეფერენსად გადაქცევა იყო.

ლონდონის ბირჟა (LSE) პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საბირჟო ბაზარია, რომელზეც ბრიტანული და ამერიკული მრავალი საწარმოს აქციები გამოდის. 1801 წელს დაარსებული ლონდონის ბირჟა იმ ტრადიციებიდან აღმოცენდა, რომელიც 1697 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც Jonathan's Coffee-House-ში მომუშავე ჯონ კასტენმა ფასების სია გამოაქვეყნა სახელწოდებით „გაცვლის ფასები და სხვა რაღაცეები.“ თანამედროვე ბირჟის დაბადებამდე „ბროკერად“ წოდებული მაკლერები სწორედ აღნიშნულ სახლში იკრიბებოდნენ. თავდაპირველად მხოლოდ 500-მდე ხელისმომწერი და თამასუქის გამცემი იყრიდა თავს. მათმა პირველმა ტრანსაქციებმა დაუღო დასაბამი ლონდონის თანამედროვე ბირჟას.

პარიზის ბირჟა 1724 წლის 24 სექტემბერს მეფის კართან არსებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილების საფუძველზე შეიქმნა. ბირჟა თავდაპირველად Neverse-ის სასტუმროში იყო განთავსებული, მკაცრ რეგლამენტს ემორჩილებოდა და ქალს იქ მუშაობის უფლება არ ჰქონდა. 1808 წელს კი ნაპოლეონის ინიციატივით, არქიტექტორ ა. ბრონგნიარის ხელმძღვანელობით, ბირჟისათვის სპეციალური შენობის, „ბრონგნიარის სასახლის“ მშენებლობა დაიწყო. მშენებლობა 1826 წელს დასრულდა და სასახლე XIX საუკუნის მთავარი ფინანსური აქტივობების განსახორციელებელ ადგილად გადაიქცა. 1980-იანი წლებიდან პირდაპირ დაისვა პარიზის ბირჟის მოდერნიზაციის საკითხი, რომელიც მანამდე საჯარო ვაჭრობის ფორმით ფუნქციონირებდა. ინდექს CAC-ის გამოჩენამ 1986 წლიდან, ძალიან მალე გახადა შესაძლებელი კოორტირების დამკვიდრება და ბაზრის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცება. ამას შემდგომ სხვა ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება მოჰყვა ახალი საბირჟო ასოციაციების დამკვიდრებითა და გადამცვლელი აგენტების სტატუსის შეცვლით. 1990-იანი წლებიდან კოორტირების ახალი სისტემის შემოღებით, პარიზის ბირჟა ახალი ინიციატივით გამოდის სხვადასხვა ევროპული ბირჟის გაერთიანების შესახებ, რომლის შედეგს 2000 წელს Euronext-ის (პარიზის, ამსტერდამის, ბრიუსელის, ლისაბონის და პორტუგალიის ბირჟები) დაარსება წარმოადგენს. 2007 წელს ჯგუფმა Euronext-მა საბოლოოდ დაადასტურა NYSE (საბირჟო ცენტრების მსოფლიო ჯგუფი)-თან გაერთიანება, რითაც, პრაქტიკულად, პირველი მსოფლიო ბირჟა NYSE Euronext-ი დაიბადა.

ფრანკფურტის, ანუ გერმანიის ბირჟა საკმაოდ გვიან, 1992 წელს დაფუძნდა. დღეს ის ევროპის მნიშვნელოვან საბირჟო ბაზარსა და მსოფლიოს რიგით მესამე (ნიუ-იორკი და ტოკიო) ბირჟას წარმოადგენს. ტრანსაქციების დიდი წილი – 65% ქვეყნის შიგნით, ხოლო 35% მის გარეთ ხდება. ბირჟის წინ ორი ქანდაკება დგას. დათვი კურსის დაწევის სიმბოლოა, ხარი კი კურსის აწევისა. ბირჟის მთავარი ინდექსი DAX-ი 1994 წელს შეიქმნა.

სამხრეთ კორეის ბირჟა (Korea Exchange, KRK) მსოფლიოში დერევატივებით გარიგების მნიშვნელოვანი საფონდო ბირჟაა, ის უმსხვილესი კაპიტალიზაციის ბირჟების ოცეულში შედის. იგი ვაჭრობს აქციებით, ობლიგაციებით, ვალუტითა და სავალუტო ფიუჩერსებით. ბირჟა საბროკერო კომპანიებს ეკუთვნის. ვაჭრობის მოცულობამ, 2007 წ. მონაცემებით, \$ 1,521 ტრლნ-ს მიაღწია, ლისტინგი 821 კომპანია, კაპიტალიზაცია \$768 მლრდ, ძირითადი ინდექსია KOSPI, რომელიც ასახავს ბირჟაზე მოვაჭრე ყველა კომპანიის მდგომარეობას.

კონტინენტაშორისი ბირჟა (ICE) წამყვანი საერთაშორისო ფიუჩერსული ბირჟაა. აწარმოებს ნავთობით, ნავთობპროდუქტებით, ბუნებრივი აირით და სხვადასხვა ერთგვაროვანი საქონლით ვაჭრობის ოპერაციებს. ბირჟის სათავო ოფისი არის ატლანტაში, ფილიალები – ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ჰიუსტონში, კალგარიში, ლონდონსა და სინგაპურში, დაარსდა 2000 წელს. ვაჭრობის მოცულობა, ბოლო სამი წლის მონაცემებით, 50-60 მლრდ დოლარის ფარგლებშია. ძირითადი ინდექსია BINDEKX.

ბირჟა ნებისმიერი ქვეყნისათვის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აქსელატორია. ეს არის მოქნილი არხი, რომელიც ახდენს კაპიტალის პერსპექტიულ სფეროებში გადაადინებას. ჩვენს ქვეყანაში 1999 წლის იანვარში დაარსდა „საქართველოს საფონდო ბირჟა,“ რომლის ძირითადი მიზანი ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება იყო. თუმცა მისი საქმიანობა დღემდე დაბალი აქტივობით ხასიათდება, ადგილი აქვს სავაჭრო სესიების ჩავარდნას და ძირითადად ერთი ემიტენტის (სს საქართველოს ბანკი) აქციებზე დგება გარიგებები. მისმა წინამორბედმა სასაქონლო ბირჟებმაც (ხორბლისა და ნავთობპროდუქტების) დაბალი აქტივობით დაასრულეს არსებობა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქართველოს საფონდო ბირჟაზეც აისახა. 2008 წლის მონაცემებით, სულ შედგა 3200-მდე გარიგება, რაც, 2007 წელთან შედარებით, განახევრებულია. გაიყიდა 257 მლნ ლარის ღირებულების 85 150 156 აქცია. აქციების რაოდენობამ იკლო, ხოლო მისი ფასი თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა, რაც განაპირობა აქციების ე.წ. „ფიქსინგის“ (გარიგება ბირჟაზე და მის გარეთ საბროკერო კომპანიების მონაწილეობით ან მათ გარეშე) გზით რეალიზებამ.

არსებული მონაცემებით, საქართველოში 20-ზე მეტი საბროკერო კომპანია ოპერირებს. მათ შორის ლიდერი „გალთ ენდ თაგარტ კაპიტალი“-ა, რომელიც სს „საქართველოს ბანკის“ შვილობილი კომპანიაა. მისი შუამავლობით შესაძლოა მსოფლიო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, რომლის წინაპირობაა საბროკერო ანგარიშის გახსნა იმ ქვეყანაში, სადაც ბირჟა ფუნქციონირებს. კომპანიის წილი საქართველოს საფონდო ბაზარზე განხორციელებულ გარიგებათა მოცულობაში ყოველწლიურად მატულობს. მის მიერ არის დაარსებული საბირჟო ინდექსი G. and T. index (GEL). აქ თავს იყრის საფონდო ბაზარზე დარეგისტრირებული უმსხვილესი კომპანიების („საქართველოს ბანკი“, „თელიანი ველი“, „ვეითი ბანკი“, „თელასი“, „გაერთიანებული ტელეკომი“ და სხვა) აქციები. ინდექსი წარმოდგენას გვიქმნის ფასების დონეზეც, რომლის ფორმირების საფუძველია „აქციების კალათის“ სტრუქტურა. ის კვირის განმავლობაში ორჯერ ფიქსირდება და კვარტლის განმავლობაში ხდება მისი კონტროლი. გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო, როგორც მსოფლიო საფინანსო ბაზარზე მოქმედი ინდექსები, ჩვენთანაც ინდექსი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. საშუალოდ, მსოფლიო საფონდო ინდექსებთან შედარებით, საქართველოს საფონდო ბაზრის ინდექსი 18-22%-ითაა დაწვეული, რაც ცუდ მაჩვენებლად ითვლება. მიუხედავად ამისა, საქართველოს საფონდო ბაზრის შესყიდვის რამდენიმე ბიზნესწინადადება იყო. საბირჟო ბიზნესის თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს აპრობირებული ფაქტია. მაგ., Nasdaq-მა მთლიანად შეისყიდა შვედური ბირჟა, რომელიც, თავის მხრივ, სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრის დიდ წილს აკონტროლებდა (70-80%). ჩვენი აზრით, საქართველოს საფონდო ბაზრით დაინტერესება მისაღებია, ინვესტორების მოზიდვა-შემოსვლა ხელს შეუწყობს ბირჟის, როგორც ბაზრის, ორგანიზებული ფორმის ნორმალურ ოპერირებას და, საერთოდ, საფინანსო ბაზრის სწრაფ განვითარებას.

საქართველოს საფონდო ბაზარი არამდგრადია და საერთო არასახარბიელო მდგომარეობაა. ამკარაა საბირჟო აქტივების ლეფიციტი, მცირეა სავაჭრო გარიგებები, საბირჟო ინდექსი ყოველწლიურად ეცემა, იკლებს ფასიანი ქაღალდების კურსი, საბაზრო ფასი, კოტრდებიან საბროკერო აგენტები და სხვა.

აღნიშნულის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიგვაჩნია ბირჟების ქაოსური ფორმირება, საკანონმდებლო სისტემის ხშირი ცვალებადობა, დაბალი ეკონომიკური აქტივობა, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ცნობილი 2008 წლის აგვისტოს მოვლენები.

ბირჟების როლი და მნიშვნელობა ბაზრის ინფრასტრუქტურაში განუზომელია. ვფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა გამოსწორებადი. ამისათვის კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. ბიზნესის აქტივობის ზრდა და ეკონომიკის რეალური სექტორის გამოცოცხლება;
2. საინვესტიციო ბაზრის განვითარება, საინვესტიციო გარემოს სწრაფი გაუმჯობესება და ინვესტორების დაინტერესება;
3. საფონდო აქტივების გამრავალფეროვნება;

4. „შუამავალთა ინსტიტუტი“-ს ხელშეწყობა და მისი გადაქცევა საფონდო ბაზრის ატრიბუტად;
5. ემიტენტებისათვის პირობების შექმნა, რაც მათი წარმატების გარანტი იქნება;
6. ე.წ. „ფიქსინგის“ გაუქმება;
7. საგადასახადო კოდექსის დახვეწა და ამ პროცესში მეცნიერების, პრაქტიკოსების და ყველა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირის ერთობლივი ძალისხმევის გამოყენება;

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯიბუტი მ. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბ. 2003.
2. კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევის და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000.
3. სტატისტიკის დეპარტამენტისა და ავტორის მიერ მოპოვებული მონაცემები.
4. Азарасов С.С. Теория Капитала и Экономического роста, М., 2005
5. Ralph T. Byrns, Gerald W. Stone Jr. Economics, 5<sup>th</sup> edition H.C.P, 1995

*Giga Maisuradze*

*Doctor of Economics Sciences*

### **THE STOCK EXCHANGE – GUARANTEE OF ECONOMICAL STABILITY**

#### **Summary**

The main place among market economic infrastructures occupies the stock exchange. It is one of the main guarantees of stable market in the country and the existence of stable economy. Unfortunately, the Georgian stock exchange is in initial stage of development, there are observed lots of reasons. The article investigates the world experience and the formation problems – stock exchange in Georgia. It studies negative sides of the process and outlines adequate means of further development of stock exchange in Georgia.

**მნიშვნელოვანი მონობრაზიება**

(გამოსმაურება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ *ელგუჯა მექვაბიშვილის* მონობრაზიაზე “ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები”. თბილისი, საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”, 2009, 224 გვ.)

მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი მონობრაზია წარმოადგენს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის მრავალწლიანი კვლევების შედეგს და ეძღვნება მეტად აქტუალურ პრობლემატიკას – ეკონომიკის გლობალიზაციის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავალი გამოკვლევაა შესრულებული ამ თემაზე (და, ბუნებრივია, ნაშრომების უმეტესი ნაწილი ინგლისურ ენაზე), ავტორმა, ერთი მხრივ, შეძლო საკუთარი წვლილი შეეტანა ამ მეტად რთული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, და, მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონობრაზია დაწერილია ქართულ ენაზე, რაც ბევრად გაუადვილებს საქართველოში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტობას მოცემული პრობლემატიკის გაცნობას.

პრობლემის კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის ობიექტის განსაზღვრა) და მეთოდიკა (კვლევის ხერხები, ინსტრუმენტარი) სავსებით პასუხობს კვლევის მიზანს და მას სისტემურ ხასიათს ანიჭებს. ეკონომიკის გლობალიზაციის ფენომენის ახსნის საფუძველზე ავტორი იძლევა მისი მიმართულებების და პერსპექტივების ანალიზს.

კვლევის მთელი დერძი, ჩვენი აზრით, ეყრდნობა ავტორისეულ გაგებას, რომ გლობალიზაციის პროცესმა არ უნდა მოშალოს ქვეყნებს შორის სპეციფიკური განსხვავებები, რომ ეს განსხვავებები ბუნებრივია და კაცობრიობის მონაპოვარია.

ფრიად პროდუქტიულია ფინანსური კრიზისების და გლობალიზაციის რეტროსპექტული ანალიზი, პრობლემისადმი ასეთი ისტორიულ-ეკონომიკური მიდგომა სწორი დასკვნების საშუალებას იძლევა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სავსებით ვეთანხმებით ავტორის იმ მოსაზრებას, რომ გლობალიზაცია საზოგადოების თანამედროვე ისტორიის განვითარების ფენომენია (გვ. 22).

ვფიქრობთ, ავტორი სრულიად მართებულად თვლის ტექნოლოგიურ ძვრებს ეკონომიკის გლობალიზაციის საფუძველად, რაც ლოგიკურ კავშირშია მის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციული რევოლუცია, რომელმაც, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდას, ხოლო ინტერნეტის შექმნამ შესაძლებელი გახადა ეკონომიკური ტრანსაქციების (transactions) (ელექტრონული ვაჭრობა ელექტრონული ფულის გამოყენებით) განხორციელება წუთებში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბიზნესის წარმოების ხარჯები. ეკონომიკური ტრანსაქციების პრობლემის გადაწყვეტისათვის ამერიკელ ეკონომისტს რონალდ კოუზს ნობელის პრემიაც კი მიანიჭეს (1991).

მონობრაზიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითად მიმართულებებს და სუბიექტებს. ავტორი აღნიშნავს გლობალიზაციის მრავალწახნაგოვან ბუნებას, მის სხვადასხვა ასპექტებს. რაც შეეხება ეკონომიკის გლობალიზაციას, აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ ფინანსურ გლობალიზაციაზე, ვინაიდან იგი ეკონომიკის გლობალიზაციის საფუძველს წარმოადგენს. საკუთრივ კი ფინანსური გლობალიზაცია “რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: ა) სასესხო კაპიტალის, ბ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, გ) პორტფელური ინვესტიციების და დ) ვალუტის ბაზრის გიგანტური ზრდით” (გვ. 39). აქვე აღვნიშნავთ, რომ 1997-98 წწ. მსოფლიო ფინანსური კრიზისის (რეალურად სავალ კრიზისის) ძირითადი მიზეზი

სწორედ ფინანსური გლობალიზაციის შედეგი გახლდათ – როდესაც აღმოსავლეთ აზიის რიგ ქვეყნებში მოხდა უზომოდ დიდი სესხების გაცემა კერძო სექტორზე, ანუ სასესხო კაპიტალის, ფინანსური დერივატივების (მეორადი ინსტრუმენტები) მოცულობის მკვეთრი ზრდა და რეალური ეკონომიკისაგან მოწყვეტა.

ავტორი ფინანსური გლობალიზაციის მიმართულებების, გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისების და გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოზე ზეგავლენის დეტალურ ანალიზს იძლევა.

ნიშანდობლივია ავტორისეული დასკვნები ფინანსური რესურსების აღლოკაციის შესახებ. კერძოდ: “ფინანსური რესურსების რეალურ ეკონომიკაში გადატანა... ბაზარში სახელმწიფო ინსტიტუტების “ჩაშენება”, დაზოგვის, ინვესტიციების და ლიკვიდობის ჰარმონიზაცია... საფონდო ბირჟებზე გლობალური კონტროლის დაწესება” (გვ. 71). ამ საკითხის აქტუალობას ცხადყოფს თანამედროვე ეკონომიკური და საფინანსო მსოფლიო კრიზისიც, რომლისგან თავის დაღწევას ცდილობენ სამთავრობო სახელმწიფო სტრუქტურების და საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების როლის გაძლიერებით.

საქართველოზე გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა, ავტორის შეხედულებით, გამოვლინდა “ფულადი გზავნილების (remittances) შემცირებით საქართველოში, უარყოფით სავაჭრო ბალანსში, საგარეო ვალის ზრდაში”, საბოლოოდ კი, ჩვენი აზრით, ამ კრიზისმა კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს ეკონომიკის არაოპტიმალური, არაეფექტიანი სტრუქტურა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ “იმპორტმა 4-ჯერ გადააჭარბა ექსპორტს... და ამჟამად საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) 60-70% იმპორტირებულია” (გვ. 73-75). ცალკე საკითხს წარმოადგენს კრიზისის ზეგავლენა საბანკო სექტორზე, ბანკებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ან საერთოდ შეწყვიტეს რეალური ეკონომიკის დაკრედიტება. “საბანკო სისტემის დეპოზიტებსა და სესხებს შორის უარყოფითი ბალანსი 2008 წლის ბოლოს მშპ-ს დაახლოებით 13% შეადგენდა” – მართებულად აღნიშნავს ავტორი (გვ. 76). ანუ “სახეზეა სისტემური კრიზისის აშკარა ნიშნები” (გვ. 77). აქვე მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა იქნეს დაძლეული შექმნილი ვითარება – “მყარი პოლიტიკური ნების გამოჩენა ხელისუფლების მხრიდან... მკაცრი და არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა... შერჩევითი დახმარების გაწევა... გრძელვადიანი განვითარების მექანიზმების ამოქმედება... მონოპოლიზმთან ბრძოლა... ბანკებისადმი გარკვეული დახმარების გაწევა... საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება... ეკონომიკის იმპორტშემცველი განვითარების მოდელზე გადასვლა... ახალი ტექნოლოგიური წყობის დასანერგად ღონისძიებების გატარება” (გვ. 77-80).

ავტორი, ეხება რა მსოფლიო ფინანსური სისტემის რეფორმირების ზოგიერთ ასპექტს, აღნიშნავს, რომ “აუცილებელია საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებზე დემოკრატიული კონტროლის დაწესება” (გვ.80). ასეთი კონტროლის დაწესებას მიიჩნევს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების რეფორმირების ძირითად მიმართულებად.

განსაკუთრებული როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში შეაქვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (მსო), რომლის ძირითადი მიზანია თავისუფალი ვაჭრობის მიღწევა ყოველგვარი გადასახადების, ტარიფების და კვოტების მინიმიზაციის ან საერთოდ გაუქმების გზით. ავტორი შენიშნავს ამ სფეროში დამკვიდრებულ შემდეგ საინტერესო ტენდენციას: მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპი სისტემატურად აღემატება მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპს, და წარმოების გლობალიზაცია უფრო დაბალი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობის გლობალიზაცია. ეს უკანასკნელი კი ჩამორჩება ფინანსური სფეროს გლობალიზაციის ტემპს (გვ. 83-84).



ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია **“ახალი ეკონომიკის”** ფენომენის წარმოშობა, რომელსაც ავტორი ახასიათებს, როგორც “თანამედროვე ტექნოლოგიურ-მეურნეობრივ წყობას, რომლის სისტემაშემქმნელი ელემენტებია ცოდნა, ინფორმაცია და ინოვაციები” (გვ. 96).

ეკონომიკის გლობალიზაციის სუბიექტებს შორის ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს *აშშ-ს, ტრანსეროვნული კორპორაციების, საერთაშორისო სავაჭრო-ინფორმაციული ორგანიზაციების (საერთაშორისო სავაჭრო ფონდი, მსოფლიო ბანკი) როლს* (გვ. 108-140).

ბუნებრივია, ამ საკითხთა განხილვის შემდეგ ავტორი მსჯელობს ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში და სამართლიანად დასძენს, რომ **“თანამედროვე სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის მიღმა ან ბაზრის ზევით, არამედ ორგანულად და ჩაშენებული ბაზარში და წარმოადგენს ბაზრის უმნიშვნელოვანეს მთავარ შემსრულებელს, რომელიც პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესების რეალიზებაზე”** (გვ.144).

ეკონომიკის გლობალიზაციის მოდელების განხილვისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს წამყვან - ნეოლიბერალურ მოდელზე (“ვაშინგტონის კონსენსუსის” დოქტრინა, “საბაზრო ფუნდამენტალიზმი”) და სოციალურად ორიენტირებულ (ალტერგლობალიზმი) მოდელზე (გვ. 151-170). აქ ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ავტორის აზრი, რომ **“ამჟამად ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ტენდენცია: ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე ეკონომიკის დერეგულირება და შესახელმწიფო დონეზე რეგულირების გაძლიერება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია მართულ პროცესად გადაიქცა”** (გვ. 153).

აანალიზებს რა “ანტიგლობალიზმის” ფენომენს, ავტორი მართებულად თვლის, რომ დღესდღეობით საუბარი უნდა მიმდინარეობდეს გლობალიზაციის არა უარყოფაზე, არამედ მისი შინაარსის სოციალურ ორიენტაციაზე, “როდესაც წინა პლანზე გამოდის არა მოგების კრიტიკიზმი, არამედ ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბებით სწრაფვა საყოველთაო კეთილდღეობისაკენ, შექმნილი მატერიალური და სულიერი დოვლათის სამართლიანი განაწილებისაკენ” და ამას ის უწოდებს “ალტერნატიულ გლობალიზაციას” (ალტერგლობალიზმი) (გვ. 166-170). აქვე ისმის კითხვა, როგორი ეკონომიკური მექანიზმი უნდა დაედოს საფუძვლად დოვლათის ასეთ წარმოებას და განაწილებას? ეს ძალზე რთული საკითხია და ელის თავის გადაწყვეტას.

სპეციფიკურ და სრულიად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენა პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე, რომლებიც ტრანსფორმაციის პირობებში იმყოფებიან. ამ პრობლემატიკას ავტორი ეხება მონოგრაფიის მეხუთე თავში და აღნიშნავს, რომ “ტრანსფორმაცია გლობალიზაციის აუცილებელი პირობაა, მეორე მხრივ კი, გლობალიზაცია თვითონ გვევლინება ტრანსფორმაციის ფაქტორად” (გვ. 171). აქ ავტორი “სისტემური პარადიგმის” ორიგინალურ ახსნას იძლევა, რომელიც, ჩვენი აზრით, ზოგადად საკმაოდ პროდუქტიულია სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ახსნისას და კერძოდ, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შემთხვევაში. ასეთი მიდგომის საფუძველზე, ავტორი საინტერესოდ ხსნის უკვე საკუთრივ პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის ფენომენს (გვ. 176-183), რომელიც სოციალიზაციისა და სამართლიანობის გზას ადგას. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის ამოსავალი მახასიათებლები დომინანტურ ფაქტორებად რჩებიან, და აქედან აკეთებს შორს მიმავალ და საკმაოდ თამამ დასკვნას, რომ **“სოციალიზმი (რა თქმა უნდა, არა მისი დამახინჯებული საბჭოური მოდელი) არის მთელი კაცობრიობის პერსპექტივა”** (გვ. 183). თამამს იმიტომ, რომ დღეს საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, ეკონომიკის ნეოლიბერალურ მოდელს უკავია გაბატონებული ადგილი როგორც აზროვნებაში, ასევე სამეურნეო პრაქტიკაში. ეკონომიკა მინდობილია სტიქიური ფაქტორების მოქმედებას და ყველაფერი ეს კეთდება ეკონომიკაში ლიბერალიზმის და დემოკრატიული ფასეულო-

ბების დაცვის ღოზუნგის ქვეშ, რითაც კინდება საკუთრივ იდეა ნორმალური საბაზრო ეკონომიკის შესაძლო ფორმირების და არსებობის შესახებ.

მონოგრაფიის დასკვნითი მეექვსე თავი ეძღვნება გლობალიზაციის პრობლემების და პერსპექტივების ანალიზს საქართველოში (გვ. 184-205). აქ ავტორი გვაფრთხილებს: “ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შესაბამისი პოლიტიკური სისტემის როგორც ზოგადი ნიშნები, ისე ყოველი ხალხის (ქვეყნის) უნიკალური თვისებები, ტრადიციები, ყოფა, კულტურა, ცხოვრების წესი და ფსიქოლოგია” (გვ. 187). საყურადღებოა ავტორისეული შეხედულებები, რომ “უფრო ეფექტიანია საქართველოს გლობალიზაციაში ჩართვა რომელიმე მსხვილ სტრუქტურაში მონაწილეობის გზით” და “ყველაზე პროგრესულად შეიძლება ჩაითვალოს ის გზა, რომელიც ევროკავშირში შეგვიყვანს” (გვ. 188). მაგრამ ამისათვის საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს რიგი კრიტერიუმები, რაც არცთუ ისე ხანმოკლე პერსპექტივის საქმეა.

ცალკე საკითხად ავტორი განიხილავს მეცნიერებისა და განათლების მდგომარეობას თანამედროვე საქართველოში და ამ სფეროში დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის გზებს (გვ. 195-199), აქვე იგი იძლევა ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის შესაძლო მიმართულებების ჩამონათვალს (გვ. 202-205).

მონოგრაფიის ბოლო ნაწილს შეადგენს “ძირითადი დასკვნები” (გვ. 206-213) სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ავტორისეული ძირითადი მოსახზრებები და რეკომენდაციები ზოგადად ეკონომიკის გლობალიზაციაზე და მის სპეციფიკაზე საქართველოში. მათ შორის გამოვეყოფით შემდეგს:

- გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია თანმდევი პროცესებია (გვ. 206);
- “ეკონომიკის გლობალიზაციის გაბატონებული მოდელის შეცვლა”. კერძოდ, “გლობალიზაციის ნეოლიბერალურ მოდელს უნდა დაუპირისპირდეს გლობალიზაციის დემოკრატიული მოდელი, ანუ სოციალურად ორიენტირებული გლობალიზაცია” (გვ. 210-211);

- *“სოციალიზმის იდეა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უტოპია იყო და მისი პრაქტიკული განხორციელების ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, შესაძლებელია გარკვეული დროის შემდეგ კაცობრიობის რეალური ცხოვრების წესი გახდეს”* (გვ. 212). აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ეს პერსპექტივა ბევრად არის დამოკიდებული ისეთი ფაქტორების ამოქმედებაზე, როგორებიცაა მრავალპოლუსიანი სამყაროს ჩამოყალიბება, ეკონომიკის თანდათანობითი სოციალიზაცია, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის სწორი განსაზღვრა და სხვ.

სასურველობის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მონოგრაფიაში შედარებით ნაკლები ყურადღება დაეთმო გლობალიზაციის სოციალურ ასპექტებს. ვფიქრობთ, ამ პრობლემის სიღრმისეული ანალიზი გახდება ავტორის მომავალი კვლევების საგანი.

კარგი იქნებოდა, ავტორს ძირითადი დასკვნები მოეცა ინგლისურ და რუსულ ენებზეც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მოცემული პრობლემატიკით დაინტერესებულ პირთა რაოდენობას.

დასასრულ, ვამთავრებთ რა რეცენზიას პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის მონოგრაფიაზე. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ მის მნიშვნელობას ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში და სრულად ვუჭერთ მხარს იმ მოსაზრებას, რომ ის დიდად დააინტერესებს “თანამედროვე ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესებულ პირებს, ეკონომიკური პროფილის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს”.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
*თეიმურაზ ბერიძე*

## РЕЦЕНЗИЯ

### на научно-исследовательскую монографию доктора экономических наук, профессора Георгия Папава «Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы»

Научные труды доктора экономических наук, профессора, кавалера ордена чести Г. Папава хорошо известны широкому кругу читателей-экономистов. В них автор касается многих сфер экономики, и в то же время все они содержат в себе новые подходы и инновации в деле познания соответствующих экономических явлений. Представленная фундаментальная научно-исследовательская работа займёт в экономической науке особое место. В ней предлагается совершенно новый образ экономического мышления (квалифицированный автором как периоданто-генетический и «полифонический»), нацеленный на предупреждение непреднамеренных ошибок в осмыслении логики становления экономических реалий, и, соответственно, открывается совершенно новый простор для осуществления углублённых научных экономических исследований по периодам времени.

Предлагаемый автором образ экономического мышления и опирающаяся на него методология познания качеств экономических реалий являются результатом применения в экономической науке положений системологии как инструмента исследования проблем. Применение последней автором оправдало тем самым утверждение, согласно которому «успехи в ряде наук и областей человеческой деятельности будут связаны с развитием системологии».<sup>12</sup> Следует подчеркнуть, что автор в процессе исследования использовал результаты и тех наук, которые, как правило, участвуют в формировании экономических реалий, а именно, философии, психологии, математики, генетики, астрономии, экономической кибернетики, статистики и других наук.

Представленный образ экономического мышления насыщен методологическими приёмами расчётов в виде соответствующих формул математики экономики, которые, в отличие от экономико-математических методов, построены без отрыва качеств каждого ингредиента данной экономической реалии. Он конкретно выходит на формирование технологии рыночной экономики, которая нормализует сочетание естественного рыночного механизма и механизма государственного правления экономической средой и направляет формирование экономик стран как целостных систем и «полифоническую» глобализацию рыночной экономики мира в нормализованное позитивное русло.

Главная ценность данной научной работы заключается в том, что сформирована совершенно новая методология познания качеств экономических реалий, складывающихся непрерывно по периодам времени в условиях смешанной рыночной экономики. Представленная методология даёт возможность основательно умозрительно вникнуть в природу экономических реалий (следуя их генетическому становлению, непрерывному по периодам времени) и тем самым избежать экономических паралогизмов, т.е. непреднамеренных ошибок в осмыслении логики становления экономических реалий смешанной рыночной экономики и, соответственно, принятия ошибочных экономических решений и тем самым претворения в жизнь ложно адресованных мер. Данная методология исходит из явлений, реально существующих в экономике, в структурных единицах которой возможно обнаружить периоданто-генетические системы.

Образ экономического мышления, сформированный проф. Г. Папава, подразумевает высокоэффективное правление (управление, образующего русло надлежащего регулирования) экономической деятельностью, т.е. с наибольшей отдачей в ответ на прохождение периодов времени, предстающих как ресурс срока. Последние выступают в роли естественных императивов, толкающих экономические субъекты к организованным действиям. Данный образ мышления способствует более глубокому умозрительному вниканию в имманентные и эмерджентные свойства экономических реалий

<sup>12</sup> Дружинин В.В., Конторов Д.С. Проблемы системологии (проблемы теории сложных систем). Москва, «Советское радио», 1976 (с. 287).

смешанной рыночной экономики, не отходя от естественного хода их развития, и предотвращая тем самым допущение экономических паралогизмов.

Кроме того, инновацией данной работы является периодантный метод определения эффекта организованности экономики на примере промышленной фирмы. Изменение этого эффекта осуществлено автором «с точностью аптекаря». Внимания также заслуживает «полифонически» нормализованная смешанная рыночная экономика, которая достигается соответствующим директивно-индикативным образом государственного правления, который включает применение соответствующей рационально маневренной налоговой системы, антикоррупционной системы «должностных спецконтрактов», а также задействование должного государственного индикативного плана и механизма рационального чередования процессов приватизации и национализации.

Следует отметить, что разработка автором проблемы должного государственного правления экономическими автоматизмами экономических субъектов обеспечивает нормализацию как их поведения, так и общественных взаимоотношений вообще. Создание истинно демократического общества выдвигает требование нормализации смешанной рыночной экономики, т.е. истинно демократический правопорядок не достижим без нормализации смешанной рыночной экономической системы данной страны. Выполнению этого требования способствует в рецензируемой монографии представленное научное новшество в виде методологии непрерывного по периодам времени познания качеств реалий смешанной рыночной экономики, предупреждающей экономические паралогизмы. Последние разрушают институциональность смешанной рыночной экономики, уводя в сторону от строительства истинно демократического общества.

Данная работа даст новую пищу экономической науке и практическому правлению экономикой как отдельных фирм, регионов, стран, так и всей мировой экономикой в условиях смешанной рыночной экономики в деле нормализации социально-экономической деятельности, резко сокращая или даже полностью предотвращая допущения экономических паралогизмов. Накопление последних способствует формированию суммативных образований экономик и тем самым порождает экономические кризисы, нарушая соотношение между созданными экономическими благами и обслуживающей их денежной массой с учётом темпа оборачиваемости последней (без участия кредитования).

Новое направление экономических исследований, новый образ экономического мышления созданный профессором Г. Папава имеет большое как теоретическое, так и практическое значение. Его применение возможно правительствами, бизнесменами, предпринимателями, менеджерами любой страны со смешанной рыночной экономикой, особенно значительно оно для Грузии, так как это позволит предупредить экономические паралогизмы в осуществлении экономических функций как государственного правления, так и бизнеса, предпринимательства и менеджмента фирм. В то же время, данное исследование адекватно ориентирует интеллект экономиста-исследователя в области нахождения путей нормального функционирования смешанной рыночной экономики в отличие от «дикой» рыночной экономики, представляющей собой суммативное образование, насыщенное не только позитивными, но и негативными механизмами «дикой» рыночной среды.

Кроме того, считаем, что методологию непрерывного по периодам времени познания качеств реалий смешанной рыночной экономики, нацеленную на преодоление экономических паралогизмов, представленную проф. Г. Папава в своей монографии, обязательно следует внедрить не только в процесс осуществления соответствующих экономических исследований, но и в учебный процесс в области экономики для подготовки магистров и докторов экономических наук. Полагаем, что научно-исследовательская монография проф. Г. Папава заслуживает присвоения соответствующей премии.

**Доктор экономических наук, профессор,  
директор института экономики П. Гугушвили**

**Рамаз Абесадзе**

## ინფორმაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტი. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

### პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

#### შელაგათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

• მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება  
**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.

ელ.ფოსტა: [gamomcemloba@rambler.ru](mailto:gamomcemloba@rambler.ru)

### ჟურნალ ეკონომისტში სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ. 99-66-46, 99-74-09.

**სს "საქართველოს ბანკში" კლიენტის ანგარიშზე თანხების ერთჯერად ვალუტაში (ლარი)**

**ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები**

**მიმღების ბანკი:**

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502

**მიმღების დასახელება:** სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

**მიმღების ანგარიშის ნომერი:** 247786300

ტელ: +995-32-444444-7842

ფაქსი: 444176

ელ.ფოსტა: [tmetreveli@bog.ge](mailto:tmetreveli@bog.ge)

---

---

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE  
JOURNAL “ECONOMISTP”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an artticle is sent back to the autor for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru),  
[tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 99.66.46,

**BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR  
IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA**

**Intermediary Bank**

Citibank N.A., New York, USA

SWIFT: CITIUS33

**Account With Institution**

Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

**Beneficiary:** LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

**Account:** 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: [tmetreveli@bog.ge](mailto:tmetreveli@bog.ge)

**BANK DETAILS FOR TRANSFERS IN EURO  
IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA**

**Intermediary Bank**

Commerzbank, Frankfurt, Germany

SWIFT: COBADEFF

**Account With Institution**

Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

**Beneficiary:** LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

**Account:** 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: [tmetreveli@bog.ge](mailto:tmetreveli@bog.ge)

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.

E-mail: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru)

Journal “Economist”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.

E-mail: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru)

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics  
Redactor of Publishing House Sesili khandjaladze